# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 3 (30) 9 თებერვალი, შაბათი, 1991


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაჰ, დრონი, დრონი...

ამ ფოტოებზე აღბეჭდილია კადრები ოსთაგან დარბეული და აწიოკებული სამაჩაბლოდან. დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავს რუსული ხიშტი, რომლის იმედით ქალამიცემული ოსნი აღარ ინდობენ ქალთა და ბავშვთაც კი. საკუთარ მიწაზე ხიზნებადქცეულნი, ჩვენი უძლურებით გულგახეთქილნი სიმწრით ვგოდებთ ხალხური მოლექსის ამონაკვნესს:



„რა დრო მოვიდა,
უფალო,
რა ცოდო-ბრალი
ხდებაო,
მშველელიც
აღარვინ არის
გული ჯავრითა
სკდებაო“



ოსნი არც წარსულში თაკილობდნენ ქართველთა ორგულობას, მაგრამ ვიდრე ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა და ჩვენს მიწაზე რუსის სალდაფონებს არ ჰქონდათ დადგმული ბინძური ფეხი, აბეზარ შინაორგულთ ღირსეულად ვაზღვევინებდით, აი, ერთი ეპიზოდი, გათავხედებულ ოსებთან ბრძოლის ისტორიიდან რომ შემოუნახავს ხალხურ საგმირო პოეზიას:



## ოსების თავდასხმა ღებელებზე

ვაჟებო, ფრთხილად იყავით, საქმეა ღალატიანი,
მაცხოვარს სიტყვა მივართოთ ჭკუიანი და ხვიანი,
მე მგონი, თქვენცა გეწყინოსთ თქვენი ღებისა ზიანი,
ღები დასწვან და დახდაგონ, არსად გაუშვან ხიანი“.
დილა გათენდა მზიანი, ლაშქარსა გასდა ხრიალი,
ქვემოთით ვაჟნი მოვიდენ დაკაზმულ-ჯაფაროვანი,
თან ახლდათ გამყრელოვანი.
გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ჰქვიანო,
რუსული ხრმალი გასტეხა, სისხლი ყუასა სცხიანო.
ოსები გაუბედურდენ, უკულმა ჩამოდიანო
ასე გასწყვიტეს ოსები, ჯირკვებივითა ყრიანო.
გიჯობდა, ჯამხოთიშვილო, არ ჩასტომოდე ღებსაო,
გეჭამოს ქერის ქარჯინა, ქვე მოსდგომოდე ცხვრებსაო.
სწუნობდი ღებურ თოფებსა, ახლა დახედე მკვდრებსაო...

# მეჯღანუაშვილობა

როცა ლავრენტი არდაზიანის გენიალური მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან, გულისგულში მეც დავეთანხმე ამ გადაწყვეტილებას. ვიფიქრე, ჩვენს თხუთმეტსაუკუნოვან ლიტერატურაში, ღვთის მადლით, ბევრი ისეთი მწერალი და ნაწარმოები მოიძებნება, რომელთა სწავლებაც უფრო უპრიანი იქნება-მეთქი. ახლა კი ვფიქრობ, ნამდვილად არ შეიძლებოდა ამ ნაწარმოების ამოღება, ისევე, როგორც არ შეიძლება ამოღება „კაცია-ადამიანისა?!“.

დიდმა ილიამ „კაცია-ადამიანს?!“ სარკე უწოდა, რომელშიც იმისათვის ჩაგვახედა, რომ თუ „პირზედ ურიგობა რამ გატყვია“, მოიწმინდო და ხალხში არ შერცხვე. ასეთივე სარკეა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. ისეთი სარკე, რომელიც დღესაც ბევრ რამეს გვიჩვენებს, ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრებს.

ტელევიზიით რომ გადმოსცეს, 50 და 100 მანეთიანი კუპიურები უქმდებაო, ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. „ვრემიას“ დამთავრებისთანავე ჩვენს ქვემოთ, ბანკის შესასვლელთან, ჩოჩქოლი ატყდა. მიჩვეული ვიყავი ამ ჩოჩქოლს, იქ თვეების მანძილზე მოგზაურობაზე შეყვარებული ხალხი ათევდა ღამეებს და ჩვენც არ გვაძლევდნენ ძილის საშუალებას. მაშინაც მენიშნა, რომ იმ ღამესაც თეთრად გამათენებინებდნენ. გათენებისას ჩამძინებოდა, რომ ზარის გაბმულმა ხმამ გამაღვიძა. გამოვიხედე, ახლობელი იყო: ფერწასულს თვალებში ისეთი ტრაგედია ეხატებოდა, ვიფიქრე, დიდი უბედურება დასტყდომია-მეთქი თავს.

— ხომ მშვიდობაა? — ვკითხე შეშფოთებულმა.

— ეჰ, მშვიდობა კი არა... ფული მეწვება!

— როგორ გეწვება?

— როგორა და... ტანჯვით ნაგროვები ფული მიუქმდება, არ მოგისმენია გუშინ ტელევიზორისთვის?

— კი მოვუსმინე, მაგრამ...

— 50 და 100 მანეთიანები გაუქმდა. თუ ვერ მოვასწარი გამოცვლა, 150 ათასი მიუქმდება.

— აუჰ, ამდენი?! — შევძახე გაოცებულმა.

— ეგ რა ბევრია, ზოგს მილიონები აქვს. — დამამშვიდა.

— კი მაგრამ, სალაროში რატომ არ შეგქონდა?

— იქაცა მაქვს შეტანილი, მეტის შეტანის შემეშინდა. თანაც, ის გავყიდე, რა ჰქვიან...

— გაჰყიდე კი არა, გამოჰყიდე... თუ ამდენი ფული გქონდა, ხუთასი მანეთის სასესხებლად რომ მოვედი შენთან, მაცივარი რომ გამომიჩნდა უცებ, გახსოვს... აკი არა გქონდა?

— ეეჰ, ნეტა ათასი მომეცა... ნახევარს გაძლევ, ოღონდაც დამეხმარე.... გეყოლება ვინმე...

— რა გინდა, „ვიჩალიჩო“?

დიდი ბოდიშებით წავიდა. მერეღა გაველი აივანზე. ბანკის შესასვლელთან ერთი მიტინგის ხალხი იყო მოგროვილი. ჩანს, ეს ის ნაწილი იყო საზოგადოებისა, რომელსაც დრო არ დაუკარგავს მიტინგებზე სიარულით და დღედაღამ ფულის გროვებაში იყო. დიდი სიხარბით უგროვებიათ, ისეთით, სოლომონ ისაკიჩსაც რომ შეშურდე-ანი კეწკეწა ასმანეთიანები და ახ-ანი კეწკეწა ასმანეთიანები და ეხლა ამ ჭრელაჭრულა ქაღალდების გაუფასურების შიშით დაზაფრულნი ერთურთში ირეოდნენ მოთუხთუხე ქვაბში ჩაყრილი ხინკლებივით.

მთიელებმა იციან, განსაკუთრებით მონადირეებმა: შემოდგომაზე, თხილი როცა ჩამოდის, წაიღებენ და ტყისპირებში მიწაში ჩადგამენ პირმოტეხილ დოქებს, ისე დაცერებით, თაგვი თავისუფლად რომ ჩავიდეს და ამოვიდეს. ველის თაგვი მალევე პოულობს ამ „სათავსოს“ და იწყებს მის თხილით ამოვსებას. სულ დარჩეული, სალი თხილით ამოავსებს, საიდან არ მოარბენინებს, დღედაღამ შეუსვენებლივ გარბი-გამორბის და როცა პირამდე გაივსება, მივა კაცი, იმ დოქს წამოიღებს, საწყალ თაგვს კი ზამთარში შიმშილით სიკვდილი ელის.

ამ მინდვრის თაგვებს მაგონებენ ისინი, რომლებიც დღედაღამ აგროვებენ ქონებას, უცებ ჩამოიქროლებენ წითელი მონადირენი და ყველაფერს წაართმევენ. რამდენჯერ იყო ასეთი შემთხვევა ამ სამოცდაათი წლის მანძილზე: ეს განკულაკებაო, ეს კოლექტივიზაციაო, ეს ექიმთა მავნებლობაო, ეს ინჟინერთა დივერსიებიო, ეს ფარული ორგანიზაციებიო, ეს ფულის რეფორმებიო, და მაინც ვერაფერი ისწავლა ხალხმა. ნუთუ არ დადგა დრო თვალის გახელისა და ყურების გამოჩიჩქნისა. ნუთუ არ დადგა დრო ქრისტეს მცნებისაკენ ფორმალურად კი არა, გულითა და ნამდვილი რწმენით შემობრუნებისა? ნუთუ არ შეიძლება მართლაც შევიყვაროთ მოყვასი ჩვენი და ის ჭარბი ქონება ქვრივსა და ობოლს, გაჭირვებულს მოვახმაროთ, სანამ ქურდსა და მძარცველს არ წაუღია, სანამ ქურდს არ გაუჩენია სამართალი, სანამ მას არ მოუყვანია მოძრაობაში უგუნურად ერთ ადგილას დამარხული სიმდიდრე. ხომ შეეძლო იმ მილიონერს, — ჩემს მეგობარ პოეტთან რომ მივიდა: სამი მილიონი მიფუჭდება, დამეხმარე და ნახევარი შენი იყოსო, — მანამდე თუნდაც ერთი ათასი მანეთით გაემართა ხელი, ან წიგნის გამოცემაში წახმარებოდა.

ათასი გაჭირვებულია ირგვლივ. ათასი საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომლებსაც უფულობით სული ამოსდით, თანამედროვე სოლომონ ისაკიჩი კი ისე მალავს, ისე ჩქმალავს ფულებს, რომ მერე თვითონაც ველარ პოულობს, ეშმაკი ეპატრონება. ვიღაცა თავისი ისედაც საცოდავი ხელფასიდან. პენსიიდან იკლებს და მერაბ კოსტავას ფონდში რიცხავს კაპიკებს, რომ უბინაო ქართველებს ბინები უყიდონ, ესენი კი მიწაში მარხავენ მილიონებს!

იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. ამ ჭირმაც, რომელსაც მორიგი ძარცვა ჰქვია, უმეტესწილად პატიოსანი ადამიანები დააზარალა. კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თუ რა დონემდე გადააგვარა ადამიანები კომუნისტურმა [illegible]ბელობამ, როგორ [illegible]ნი პირუტყვებს, ცხოველებს; როგორ დაავიწყა მათ, რომ ისინი ადამიანები არიან და ადამიანმა პირველ რიგში უნდა იფიქროს სამშობლოზე, მოყვასზე, სიკეთის ქმნაზე...

ცოტახნის წინათ ქვეყანა სულაც არ ედარდებოდათ;

დღეს ისინი თამაშობენ გულშემატკივრების როლს, ვერ მისალმებიხარ, ამბავი, ვერ გკითხავს — აუცილებლად ხელებს გაშლის და დაიწუწუნებს — ეჰ, აბა, როგორ ვიქნები, ვიღუპებითო. მაშინ, როცა მართლაც იღუპებოდა ქვეყანა, ისინი შეხაროდნენ „ბედნიერ ცხოვრებას“ — ანდაზისა არ იყოს „ქვეყანა იქცეოდა, ქალი ბანზე ცეკვავდაო“ — ეხლა კი ქვეყანა ასე თუ ისე წალმა შემობრუნდა და ისინი გულშეღონებულნი არიან, ვაითუ დაგვეკარგოს სამ-სამ-ოთხ-ოთხი გამოვსებული ბინები, აგარაკები, მანქანებიო და ამ თავის კერძომესაკუთრულ პანიკასაც საქვეყნო საწუხარს არქმევენ. პანიკის შეტანას ცდილობენ იმ ერში, რომელსაც არანაირი უბედურების წინაშე ქედი არასდროს მოუხრია, გული არ გაუტეხია, სიკვდილისასაც სიმღერა დაუჰქექებია.

როგორც თაგვი და ვირთხა თავის ჩვევას ვერ დათმობს, რამდენიც გინდა საკუჭნაო წაართვა, ისე ფულის გროვებას მიჩვეული ადამიანები ვერ მოიშლიან საცოდავ ჩვევას; არც ამ წერილის წასაკითხად მოცდებიან საქმეს, მაგრამ ის მანუგეშებს, უფულო ხალხს მაინც ოდნავ გულს მოეფონება.

ბიბი ხორნაული

# რუსეთი — სპილოების სამშობლო

თუკი რაიმე დადებითი მოიტანა უკვე ყბადაღებულმა „პერესტროიკამ“, ეს არის სიტყვის თავისუფლება, რასაც ლოგიკურად მოჰყვა შეჩვეული სტერეოტიპების, გაქვავებული დოგმების მსხვრევა.

ამ პროცესმა განსაკუთრებით სწრაფი და დიდი გაქანება ჰპოვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, განსაკუთრებით ისტორიის მეცნიერებაში, სადაც დაიწყო და დღემდე გრძელდება ე. წ. „თეთრი ლაქების“ ანუ გაყალბებული ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ახლებური, არაიდეოლოგიზებული, ობიექტური შეფასება...

ეს კი მეტად საშური და აუცილებელი პროცესია, რამეთუ „ყველაზე მოწინავე მეთოდოლოგიით“ — მარქსისტული მეთოდოლოგიით, კლასობრივი და პარტიული პრინციპებით „შეიარაღებულ“ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არ დარჩენილა მსოფლიო თუ „სამამულო“ ისტორიის თითქმის არცერთი, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი ყალბად, „ლაქებით“ რომ არ იყოს წარმოჩენილ-წარმოდგენილი.

ერთ ამდაგვარ „დალაქავებულ“ ფაქტს მიეკუთვნება ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრძოლა — **ბოროდინოს ბრძოლა**“.

საბჭოურ ენციკლოპედიური ხასიათის ლიტერატურაში („სოვეტსკაია ისტორიჩესკაია ენციკლოპედია“, ტ. 11: „სოვეტსკი ენციკლოპედიჩესკი სლოვარ“, მე-4 გამოცემა, 1987 წ.), ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ისტორიულ ლიტერატურაში (მე-8 კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი „სსრ კავშირის ისტორია“, „დამხმარე სახელმძღვანელო სსრ კავშირის ისტორიაში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის“, „ვსემირნაია ისტორია“, ტ. VI), ბელეტრისტიკაში, კინემატოგრაფში ეს ბრძოლა, როგორც წესი, მოხათლულია, შეფასებულია **რუსის ჯარის, რუსული იარაღის გამარჯვებად. შესაბამისად, იგი ამგვარადაა დამკვიდრებული ადამიანთა ცნობიერებაში**.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ჰიტლერის ცნობილი ფრაზა არ გაგვახსენდეს კაცს: „რაც უფრო დიდია ტყუილი, უფრო ადვილად იჯერებენ ადამიანები“-ო. ამგვარ დიდ, „დაჯერებულ“ ტყუილს მიეკუთვნება ბოროდინოს ბრძოლაში რუსების გამარჯვების ამბავიც.

მართლაც, თუ ლოგიკურად განვსჯით: ნუთუ შეიძლება მოგებულად ჩაითვალოს ბრძოლა იმ არმიისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგე გამუდმებით უტევს, რომელიც ამ ბრძოლის შედეგად **უკან იხევს, სტოვებს, მტერს უტოვებს დედაქალაქს (უფრო მეტიც, თვითონვე სწვავს მას)?!**

და ყოველივე ამის შემდეგ უტიფრად ამტკიცებენ, ბრძოლა ჩვენ მოვიგეთო!

საინტერესოა, რატომ ხდება ასე? რატომ აყრიან ადამიანებს (დიდსა და პატარას) თვალში ნაცარს? ნუთუ სათქმელად (საკრაბახოდ) ის არ ეყოფოდათ, რომ საბოლოო ჯამში, 1812 წლის ომში ნაპოლეონი დამარცხდა რუსეთთან? რა აიძულებთ ბოროდინოს ბრძოლის „მოგებასაც“?

აიძულებთ **ველიკორუსული შოვინიზმი, რუსი ერის „განსაკუთრებულობა“**, რაც, რასაკვირველია, ვერ ითმენს, ვერ აღიარებინებს ამ ერის, მისი არმიის თუნდაც ცალკეულ, ლოკალურ ბრძოლაში დამარცხების ფაქტსაც კი. და როცა ეს ხდება — „მით უარესი ფაქტებისათვის“ — ხდება ამ ფაქტების „თავდაყირა დაყენება“, ანუ გაყალბება, ისე, როგორც ბოროდინოს ბრძოლის შემთხვევაში.

სხვათაშორის, ეს ველიკორუსული შოვინიზმი აიძულებთ დღემდე ამტკიცონ, სკოლაში ასწავლონ, რომ კაცობრიობის ისტორიაში მრავალი უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენა-გამოგონება **რუსეთში მოხდა**. დაწყებული ორთქლის ძრავით და დამთავრებული თვითმფრინავით.

ამგვარ მტკიცებებს, სწავლებას, ბუნებრივია, უკვალოდ არ ჩაუვლია, მისი შედეგია, რომ ბევრს დღემდე ჰგონია, სჯერა, თითქოს ორთქლის ძრავა ჯეიმს უაიტზე ადრე ძმებმა პოლზუნოვებმა შექმნეს, რადიო პოპოვმა გამოიგონა, თვითმფრინავი — მოჟაისკიმ და ა. შ. ეს კი არა, ზოგს „ილიჩის ნათურის“ გამოისობით, ნათურა ლენინის გამოგონებული ჰგონია.

გასაკვირი არაა, რომ ამგვარი „მტკიცებების“ შემდეგ მის ირონიულ პასუხად ისევ რუსეთში, დემოკრატიულად განწყობილ ინტელიგენტთა წრეში შეიქმნა მრავლისმეტყველი ფრთიანი გამონათქვამი — **«Россия — родина слонов!»**.

ფელიქს კოჟიაშვილი
მერაბ კალანდაძე.

# საქართველოს სახალხო ფრონტში

4 თებერვალს პოლიტგანათლების სახლში ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის ღია სხდომა. დღის წესრიგში იყო 29-30 იანვარს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული საკანონმდებლო აქტების განხილვა.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ მას პრეფექტის ინსტიტუტი, როგორც სახელმწიფოს „თვალი“ ადგილებზე საჭიროდ მიაჩნია დღეისათვის, გარდამავალ პერიოდში, როცა ზოგიერთ რეგიონში ფაქტიურად ხელყოფილია კანონიერება. ამავე დროს პრეფექტის ინსტიტუტი არის ქმედითი ძალა მაფიასთან საბრძოლველად. მაგრამ საჭიროა პრეფექტის უფლებამოსილების გარკვეული შეზღუდვა. კერძოდ, მას უნდა დავუტოვოთ ფუნქციები, რომელიც ითვალისწინებს მიწისა და წიაღისეულის კონტროლს, მართლწესრიგის დაცვას, ეკოლოგიური საკითხების მოგვარებას. მაგრამ საკრებულოს დათხოვნა და თანამდებობებზე დანიშვნა პრეფექტის ხელისუფლებას განუსაზღვრელს და, აქედან გამომდინარე, დიქტატორულს ხდის. რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება ძალა, მაგრამ გვჭირდება დემოკრატიის ძალა.

საქართველოში ეროვნული გვარდიის შექმნას, ორატორმა დროული და საჭირო უწოდა. ამავე დროს აღნიშნა ის გარემოებაც, რომ იგი არ უნდა იქნას გამოყენებული შინაგანი უთანხმოების დროს. ეროვნული გვარდია უნდა მოქმედებდეს ისეთ სიტუაციაში, როცა საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

რაც შეეხება რეფერენდუმის ჩატარებას საქართველოს ტერიტორიაზე სრკ-ში ჩვენი ყოფნა-არყოფნის თაობაზე, ბ-მა ნოდარ ნათაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ხალხის ნება უკვე გამოხატულია და რეფერენდუმი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

პრეფექტის ფუნქციების სამართლებრივ მხარეზე ვრცლად ისაუბრა პროფ. თენგიზ ლილუაშვილმა. მან პრეფექტის მიერ საკრებულოს დათხოვნის უფლება შეადარა მინისტრთა საბჭოს მიერ პარლამენტის დათხოვნას და აღნიშნა, რომ ამით აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლოზე მაღლა დგება. მისი აზრით საკრებულოს ფუნქცია თუ არ გაიზარდა, საერთოდ აზრს დაკარგავს არჩევნებში მონაწილეობა.

გალის რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ავთანდილ ჯოჯუამ სხდომის მონაწილეთ მოუწოდა, სახალხო ფრონტი შესულიყო საკანონმდებლო ინიციატივით უმაღლეს საბჭოში პრეფექტის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ნოდარ ლომინაძემ, რევაზ თოდრიამ, გივი ყურაშვილმა, თენგიზ კიკაჩეიშვილმა, თამაზ შილაკაძემ, ჯემალ ჯიქიამ.

დასასრულ სხდომამ მიიღო რამდენიმე დადგენილება:

ა) სახალხო ფრონტი იხსნის პასუხისმგებლობას იმ წევრებზე, რომლებიც ფრაქციულად გამოეყვნენ მას.

ბ) სახალხო ფრონტის დეპუტატები ვალდებული არიან შეიკრიბონ ყოველი სესიის წინ და შეიმუშაონ სამოქმედო გეგმები.

# საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

დემოკრატია, რომლის ერთ-ერთი უცილობელი ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობაა, — ქვეყნისათვის ძალის წყაროა, და არა სისუსტისა. ამდენად, საქართველოსათვის არ არსებობს არჩევანი ეროვნული ინტერესების დაცვისა და დემოკრატიის განვითარების ამოცანას შორის. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელი ტრადიცია, ილია ჭავჭავაძისაგან მოყოლებული და უფრო ადრეც, დემოკრატიულია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგების „ძმობის, ერთობის, (ანუ თანასწორობის) და თავისუფლების“ აღიარება ქართველ თერგდალეულთა ბრძოლის ერთ-ერთი უპირველესი საფუძველი იყო. თქმულიდან და, აგრეთვე ჰუმანიზმის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სსფ-ის დარბაზს აუცილებლად მიაჩნია საქართველოში დემოკრატიის განუხრელი დაცვა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მართვის ნებისმიერ დონეზე.

მეორეს მხრივ, სსფ-ს სავსებით აქვს შეგნებული, რომ საქართველოს სახელმწიფოს — ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოს, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს. ამ ინტერესთა დასაცავად დღეს საქართველოს რაიონებში, საქართველოს სახალხო ფრონტის აზრით, საჭიროა კონტროლი სახელმწიფოს მიერ დანიშნული და სათანადო უფლებებით აღჭურვილი პირის სახით.

ამიტომ, საქართველოს სახალხო ფრონტი მხარს უჭერს საქართველოში ყველგან, გარდა დიდი ქალაქებისა, პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებას. ოღონდ, მოითხოვს დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე მოხდეს ერთის მხრივ პრეფექტის, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოების უფლებამოსილებათა რაციონალური და მკაფიოდ ფორმულირებული გამიჯვნა. სახელდობრ, პრეფექტს უნდა ეკისრებოდეს მხოლოდ მიწათსარგებლობის, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი სიმდიდრით სარგებლობის, ეკოლოგიური სამსახურის, წესრიგის დაცვისა და გზათა სამსახურის კონტროლი და წარმართვა. ყველა სხვა მმართველობითი ფუნქცია ან უშუალოდ საქართველოს მთავრობის, ან ადგილობრივი არჩევითი ორგანოების ხელში უნდა იყოს.

პრეფექტის ფუნქციებისა და უფლებების ის ფორმულირება, რაც მოცემულია მიღებულ კანონში, სსფ-ის დარბაზი მიიჩნევს დემოკრატიის უხეშ დარღვევად, და აცხადებს პროტესტს, რადგან მოცემული სახით კანონი ობიექტურ საფუძველს იძლევა საქართველოში დიქტატურის დამყარებისათვის, რაც დღეს დემოკრატიული წესით არჩეული უზენაესი ორგანოს არსებობის პირობებში იმდენადვე მავნე იქნება ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის, რამდენადაც კომიკური.

დარბაზი მოუწოდებს უზენაეს საბჭოს შეაჩეროს პრეფექტების დანიშვნა ამ კანონის ტექსტის სათანადო კორექციამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ მახარაძე

# ორი შეხვედრა სუკ-ში

**მრავალისმნახველ** საქართველოს თავისი მძიმე ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სახის მტერთან ჰქონია საქმე. მაგრამ ბევრჯერ მტერზე არანაკლები ვნება მოუტანია მისთვის თანამემამულეს, რომელიც მტრის სამსახურში ჩამდგარა და ამავე დროს თავისი საქმიანობა ერის საკეთილდღეოდ წარმართულად წარმოუჩენია. სწორედ ეს გარემოება გვაქვს მხედველობაში, როცა 12-14 წლის წინანდელ ამბებს ვიხსენებთ სუკ-თან დაკავშირებით, თორემ დიდ ვაჟკაცობად არ უნდა ჩაითვალოს იმ შეხვედრების სააშკარაოზე გამოტანა, რასაც ახლა მოვუთხრობთ მკითხველს.

1976 წლის პირქუში შემოდგომის ერთ საღამოს, ნაძალადევში, სადაც ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი, ჩემთან მოსულა უცნობი. სახლში რომ არ დავხვდი, ჩემი ნათესავისათვის ტელეფონის ნომერი დაუტოვებია და თანაც დაუბარებია: თუ პირველ დარეკვაზე არ უპასუხეს, ხელმეორედ დარეკოს მაშინვეო.

სახლში გვიან დავბრუნდი და ბუნებრივია, ღამით უცნობთან დაკავშირება არ მიცდია. მეორე დღეს დილით კი მეზობლის ტელეფონით დავრეკე დატოვებულ ნომერზე. არავინ მიპასუხა. მეორედ ავკრიფე თუ არა ნომერი, მაშინვე შემეხმიანა უცხო ხმა. ვუთხარი ვინც ვიყავი და ვკითხე, რაში იყო საქმე. „უშიშროების კომიტეტიდან გაწუხებთ, ხომ არ შეგეშინდათ?“

ტანში უსიამოდ გამაჟრჟოლა, მოგეხსენებათ, რა განცდას იწვევს ადამიანში ამ სამსახურის ხსენება. „რისი უნდა მეშინოდეს-მეთქი“, ვუპასუხე აღელვებულმა ცოტა შეყოვნების შემდეგ.

— „თქვენთან შეხვედრა გვინდა და როდის მოიცლითო?“ მოისმა უცნობის ხმა ყურმილში. მე კი ცოტა დაფიქრების შემდეგ გულუბრყვილოდ ვუპასუხე — „დღეს არ მცალია, ლექციები მაქვს-მეთქი“. ვითომდა ამით დავიხსნიდი თავს.

„საჩქარო არაა, დღეს თუ არა, ხვალ... ზეგ, თუმცა, ნურც ძალიან გადავდებთო“.

მივხვდი, რომ კატა-თაგვობანას თამაშს აზრი აღარ ჰქონდა და იქით შევთავაზე შუადღის შემდეგ შევხვედროდიყავით. უცნობმა პაემანი დამინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციული შენობის წინ, ყოფილი ძერჟინსკის ქუჩაზე (სადაც ახლა ენათმეცნიერების ინსტიტუტია). მითხრა თავისი მანქანის ნომერიც...

უცნობი ცოტა მოგვიანებით მოვიდა და მანქანა ჩემგან ოდნავ მოშორებით, წინ გააჩერა. შევამჩნიე, რომ თავისი მანქანის სარკიდან მაკვირდებოდა და როცა მიხვდა, რომ მისი ყურადღება არ გამომპარვია, მანქანიდან გადმოვიდა.

ვიდრე უცნობი დანიშნულ ადგილზე მოვიდოდა, ბევრი რამ გავიფიქრე იმაზე, თუ რისთვის მიბარებდნენ უშიშროების კომიტეტში. უპირატესად ჩემი ყურადღება შეჩერდა ჩემს ლექციებზე უნივერსიტეტში. სტუდენტებთან თავისუფალ ლაპარაკს მაინცადამაინც არ ვერიდებოდი (თუმც არც ისე გადავდიოდი ზღვარს) და შეიძლება რომელიმე სტუდენტმა დამაბეზღა-მეთქი. მითუმეტეს, რომ ჩემამდე ორი ჩემი მეგობარი უკვე ჰყავდათ დაკითხვაზე უშიშროების თანამშრომლებს ამგვარი „მოლაყბეობისათვის“ (ეროვნულ საკითხებზე საუბარს სწორედ ასე უწოდებდნენ).

„ბატონი მიხეილი უნდა ბრძანდებოდეთო?“ მეც დავემოწმე. „ერთი წუთითო“, მომიბოდიშა და მანქანისაკენ გაბრუნდა ისევ. მანქანის დაკეტვა რომ დაიწყო, ცოტა გამიკვირდა კიდეც. რატომღაც მეგონა, აქედან უშიშროების კომიტეტში წამიყვანს-მეთქი. უცნობმა კი მანქანა დაკეტა და აკადემიის შენობაში შემიძღვა, სადაც წესითა და რიგით მე უფრო მეკუთვნოდა მასპინძლობა (მე ხომ აკადემიის სისტემის თანამშრომელი ვიყავი). შევედით თუ არა შენობაში, „მასპინძელმა“ ძირითადი ასასვლელი კიბიდან მარჯვნივ გადაუხვია და იქვე ახლოს, პატარა ოთახში შემიყვანა. რამდენჯერმე ვყოფილვარ აქ მანამდე და ეს ოთახი არ შემიმჩნევია.

შევედით თუ არა ოთახში, „მასპინძელმა“ კარები ჩაკეტა და მიმითითა სკამისაკენ, ფანჯარასთან ახლოს, ზურგით რომ იდგა. თან ამიხსნა, ისე დაჯექი, გარედან ფანჯარაში შენი სახე ნალკებად ჩანდესო, მეც ისე მოვიქეცი, როგორც დამარიგა. „მასპინძელი“ კი ჩემს წინ დაჯდა, გულისჯიბიდან წითელყდიანი პირადობის მოწმობა ამოიღო, გაშალა და მაჩვენა, თანაც გამეცნო: უშიშროების მაიორი... ერთი ჩვენი სასიქადულო მეცნიერის მოგვარე აღმოჩნდა. რადგანაც ვერიდები ჩემი „მასპინძლის“ სახელისა და გვარის ხსენებას, ამიტომაც წერილში ამის შემდგომ მაიორის სახელით მოვიხსენიებ.

მორჩა თუ არა გაცნობის ცერემონიალს, მაიორმა გამომცდელად დამისვა შეკითხვა, რას ვფიქრობდი იმის თაობაზე, თუ რატომ დამიბარეს უშიშროების კომიტეტში. მე ჯერ კიდევ ვერ ვფლობდი თავს, აჭარას, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მოყვა მთისას და ბარისას და ისევ საქმეზე გადავიდა.

„ინსტიტუტი, სადაც თქვენ მუშაობთ მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად ჩვენთვის იდეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია...“ და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა. მეც ვკითხე, რას ითხოვდა ჩემგან. გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო საუბარში ჩემი ამ სახით ჩართვით და უმალვე დამიბრუნდა პასუხი:

„საიმედო კაცი გვინდა თქვენთან და არჩევანი შენზე შევაჩერეთო!“ ძალიან მეწყინა. „რატომ მაინცადამაინც მე შემომთავაზა თანამშრომლობა? რა ხელმოსაჭიდები ნახა საქმისათვის ჩემს ბიოგრაფიაში?“ ამ აზრებმაც გამიელვა. რახან კარტები გახსნილი იყო, მეც აღარ მოვერიდე და პირდაპირ ვკითხე, თუ რას მთხოვდა კონკრეტულად. რა იყო ამის მიზეზი ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მაიორმა საუბარი ისევ სხვა თემაზე გადაიტანა. ისევ გაიხსენა ჩემი მხარე, აქო ჩვენი ხალხი „სანდო და ვაჟკაცები არიანო“. მაიორმა ისიც მითხრა, შენიანები, ახლობლები რომ ჩამოგაკითხავენ, ცოტა რამეებში ჩვენც შეგვიძლია ხელი წამოგკრათო. მე ცივად მოვახსენე მადლობა და ალბათ, მაიორიც მიხვდა, რომ ამ საქმეებით არ შევაწუხებდი.

ისევ უშიშროების სამსახურის დიდ მისიაზე ილაპარაკა, ისევ ძველი სცენარით და ისევ გავუმეორე, რას ითხოვდა კონკრეტულად ჩემგან.

„სანდო და დასაბუთებული ინფორმაციაო!!“ მტკიცედ მითხრა მან. რახან ბოლომდე არ მესმოდა, ზუსტად რას ითხოვდა ჩემგან მაიორი, საკუთარი ვარაუდი ვუთხარი: „მეგობრები დავაბეზღო?“

„არა, არა! ეს არ გვჭირდება, ამისათვის გვყავს საიმედო ხალხი. თქვენ უფრო სხვა საქმე გვინდა დაგავალოთ“, — იყო პასუხი.

მე ვუთხარი მაიორს, რომ არც ჩემს მეგობრებზე და არც სხვა ვინმეზე რაიმე ინფორმაციას არ მივაწვდიდი. ვითომც არაფერიო და, ისევ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, ოპერის თეატრის დაწვის საქმეს შეეხო. მოულოდნელად ისევ ჩემს მხარეზე ჩამოაგდო სიტყვა და მოიგონა, რომ 4 წლის უკან თბილისიდან მყავდა სტუმრები ჩემს მხარეში, ქორწილში. თითქოს მათ იქ, რაღაც არც თუ ისე სასურველი აგიტაცია გაწიესო. მაგრამ ეს არაფერიო. მე ეჭვმა გამკრა, ჩემი ხალხის საიმედოობაზე როცა მელაპარაკებოდა, იმ ზოგიერთების მიხედვით ხომ არ მსჯელობდა, ყველაფერი რომ ჩაეკაკლათ სადაც ჯერ არს. ვფიქრობ, მაიორმა ეს ამბები უფრო პოზიციების შესამაგრებლად მოიყვანა და გარკვეულად ჩემს „მოსატეხად“, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა უნდოდა.

ბოლოსდაბოლოს, როცა დარწმუნდა მაიორი, რომ არ შევასრულებდი მის თხოვნას, ბოლომდე გაიხსნა. მაგრამ, სანამ სათქმელს მეტყოდა, ცოტა შორიდან დაიწყო. აღნიშნა, რომ ისიც ერთგული ქართველია, სხვაზე ნაკლებად როდი უყვარს საქართველო და რომ მისი ახლანდელი გარჯა სამშობლოს ერთგულებითაა განპირობებული. როცა საბოლოოდ თავისი სათქმელი მითხრა, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ეს ჩემს „დასამუშავებლად“ და შესამზადებლად იყო ნათქვამი. ამით მაიორი იმას მაუწყებდა, რომ, რასაც შენგან ვითხოვთ, ეს ერის სასიცოცხლო ბუნებრივია, ვღელავდი კიდეც და ბორძიკით ვუპასუხე, რომ აქ გასაცნობად და მოსაფერებლად არ დამიბარებდით-მეთქი. „მაინც რას ფიქრობთო?“ გამიმეორა კითხვა.

„ალბათ სტუდენტებთან ლექციაზე ან სამსახურში, რაღაც ისეთი ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა“. ჩემს სიტყვებზე მაიორი ცოტა შეიშმუშნა, ეტყობოდა, ჩემი ბანალური პასუხით არც მაინცდამაინც კმაყოფილი იყო. თვალი თვალში გამიყარა, ნაძალადევად გამიღიმა და მითხრა: „არა, მაგ მხრივ თქვენი ბიოგრაფია სუფთაა... მართალია, თქვენი მხრიდან არის ცოტა გამოხდომები... მაგრამ ამისთვის ჯერჯერობით მხოლოდ უბრალო შენიშვნას იმსახურებ და მეტი არაფერიო“. ამ სიტყვებმა ცოტა გამაკვირვა, რადგანაც არც ისე უცოდველი ვიყავი და ეს მას არ შეიძლება არ სცოდნოდა. გამაკვირვა იმანაც, რომ მაიორმა ბლოკნოტი და ავტოკალამი ჯერ დემონსტრაციულად მოიმარჯვა და შემდგომ ასევე მრავლისმთქმელად გადადო გვერდზე. ამით თითქოსდა უსიტყვოდ მაგრძნობინა, შინაურულად ვილაპარაკოთ, წერა რა საჭიროაო.

ეჭვი გამართლდა. მაიორმა მოულოდნელად საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. ისაუბრა უშიშროების სამსახურის დიდ როლზე სახელმწიფოსათვის (რაც მის გარეშეც კარგად „ვიცოდი“). ილაპარაკა აგრეთვე იმ სირთულეებზე, რაც თან ახლავს საიდუმლო სამსახურებს. „ჩვენ ტონობით ქვიშა უნდა გადავსინჯოთ, მაგრამ არც მაშინაა გარანტია, იქ ოქროს რომ ვიპოვითო“ (ოქროში რას გულისხმობდა მაიორი, ამას მკითხველი ისედაც გაიგებს). მაგრამ ვინმეს უმიზეზოდ ჩვენი ბასრი კლანჭების კვალი არ უნდა დაემჩნესო. „ნეტამც ასე ყოფილიყოს!“, გავიფიქრე მაშინვე. ჩვენი საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ამ აზრს სხვადასხვა ფორმით ხშირად იმეორებდა მაიორი.

მაიორის ქარაგმული ნათქვამებით უკვე ვხვდებოდი, რომ აქ ჩვენების მისაცემად არ ვიყავი დაბარებული, ჩემგან ის სულ სხვა რამეს ითხოვდა, მაგრამ კონკრეტულად რას, ამას გამოუცდელობის გამო ვერ ვხვდებოდი.

ერთი ხანობა მაიორი ჩემს პიროვნებაზე შეჩერდა. შემაქო, ასე მძიმე ცხოვრება გაგივლია და შენი ასაკის კვალობაზე საკმაო მიღწევები გაქვსო. ახლა რომ მახსენდება ეს ეპიზოდი, მიკვირს, რა ხიბლავდა ჩემს მაშინდელ „მიღწევებში“. მაიორმა ისიც კი მითხრა, რომ კარგად იცნობდა იმ მხარეს, ინტერესებიდან მომდინარეობს და თუ დაგვეთანხმდები, ამაში საძრახისი არაფერიაო, პირიქით, ამით ერის საქმეს გვიკეთებო. კონკრეტულად კი, მათთან ჩემი თანამშრომლობის არსი ასე ჩამოაყალიბა: თქვენი ცნობილი კოლეგები სტრიქონებს შორის არც თუ იშვიათად ისეთ აზრებს ატარებენ, რომ ჩვენი წყობისა და იდეოლოგიისათვის მიუღებელია, ჩვეულებრივი მკითხველი ამას ვერ ხვდება, საქმეს კი დიდად ვნებსო. მაგრამ ხშირად ჩვენი სანდო ხალხიც (ესე იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულნი) ვერ ამჩნევენ ამას და ამის გამო არაერთი უხერხულობა შეგვხვედრიაო. მე კი მევალებოდა, ასეთი მიუღებელი აზრები მეხილებინა დასაბუთებულად და ყველაფერი ეს სათანადოდ წერილობით მათთვის მეცნობებინა. აქვე, ასეთი მიუღებელი აზრების მატარებლად დაასახელა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე, რომლის ნაწერები დიდად პოპულარული იყო.

ამას ნამდვილად არ ველოდი და ამ წინადადებამ დიდად შემაძრწუნა. შემაძრწუნა ბევრი რამის გამო:

ჯერ-ერთი იმის გამო, რომ ქართველი კაცი — ქართველ კაცს გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეების ნაწერებში „ხელის ფათურსა“ და ამის საფუძველზე მათ დასმენას მთხოვდა.

მეორე: ქართველი კაცი ქართველ კაცს მტრის სამსახურში ჩადგომას მთავაზობდა.

მესამე: ქართველი კაცი ამ გამყიდველობას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ გაწეულ სამსახურად მისაღებდა.

შეძრწუნება ამ საქმეს ვერ უშველიდა და გამოცდილი ჩეკისტი ახალგაზრდა კაცს, ამ საქმეებში სრულიად გამოუცდელს, ამ წინადადებას შეძრწუნების გულისთვის სულაც არ სთავაზობდა. ამიტომაც, მაიორის წინადადების არმიღებას, ფილოსოფიის ენაზე რომ ვთქვათ, საკმაო საფუძველი სჭირდებოდა. არ ვიცი როგორ, მაგრამ ვფიქრობ, რომ იმ სიტუაციისათვის კარგ და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ერთადერთ ეფექტურ პასუხს მივაგენი.

მაიორს ვუთხარი, რომ ასეთ საქმეს ვერ შევასრულებდი. ისე კი, როგორც თქვენ, ისე მეც მოვემსახურებოდი მაგ საქმეს, ოღონდ რომ მაჩვენეთ, იმისთანა მოწმობა თუ მექნება, თანაც ყველას ეცოდინება ჩემი ამ სამსახურის შესახებ-მეთქი. მაიორს სახეზე უკმაყოფილება შეეტყო, თავი ასწია და ასაკი მკითხა. ასაკი გადასული გაქვსო, და რაღაცის თქმა დააპირა, ახლა კი მე აღარ ვაცალე და ფეხზე წამოვდექი:

„ორგანოს თანამშრომელი ხართ და იარაღი აუცილებლად გექნებათ. მირჩევნია პირდაპირ შუბლში დამახალოთ ტყვია, ვიდრე ეს და სხვა ამის მსგავსი წინადადებები მივიღო!“

ჩემი აღელვების მიუხედავად, მაიორს გუნება-განწყობილების შეცვლა არ ეტყობოდა. მთხოვა დავმჯდარიყავი. არ დავჯექი და კვლავ გავუმეორე ის სიტყვები.

რახან ვერაფერს გახდა, გამათავისუფლა, ოღონდაც მთხოვა, ჩვენი ამ საუბრის შესახებ არავისთან არაფერი მეთქვა. ცივად გამოვემშვიდობე. მან კი გამომშვიდობებისას შემახსენა, ჩემი ტელეფონი ხომ გაქვსო. მისი შეკითხვა უპასუხოდ დავტოვე და კარები გამოვიხურე. ქაღალდის ნაგლეჯს, რომელშიც მაიორის ტელეფონის ნომერი მეწერა, სანაგვე ყუთში გადავუძახე.

გარეთ რომ გამოვედი, საათი მაშინ გამახსენდა. სამ საათზე მეტი დრო გასულიყო იმ ერთი წინადადების შეთავაზება-არმიღებაში. გზად პირველსავე შემხვედრ ახლო ნაცნობს ეს არც თუ ისე სასიამოვნო ამბავი მოვუყევი, რითაც ჩემს ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ანგარიში არ გავუწიე გულით ნათხოვს და საიდუმლოება გავეცი.

მეორე შეხვედრა სუკ-ის თანამშრომელთან ამ ამბიდან 3 წლის შემდეგ მომიხდა. უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსის ერთერთ კიბეზე პროკლამაციები გადმოყარეს. ერთი ცალი მეც ჩამივარდა ხელში, რის შესახებაც ვთქვი კიდეც საპროფესოროში შესვენებაზე. აუდიტორიაში 5 წუთის შესულიც არ ვიქნებოდი, რომ უნივერსიტეტის თანამშრომელი გამომეცხადა და II სართულზე ჩასვლა მთხოვა. იქ უკვე უშიშროების თანამშრომელი მელოდებოდა, რომელმაც ჩაიწერა ჩემი მონაცემები და მეორე დღისათვის უშიშროების კომიტეტში დამიბარა...

დანიშნულ დროს საშვი დამხვდა უშიშროების კომიტეტის მისაღებში. გარემო რაღაც იდუმალებით მოცულად მომეჩვენა, ვიწრო დერეფანი, ყველა ოთახის თავზე ანთებულად, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე ეწერა: „მიმდინარეობს დაითხვა“. ჩემი გუშინდელი გაცნობილი უშიშროების თანამშრომელი თავის კაბინეტში შემიძღვა და დაჯდომა შემთავაზა. მალე საქმეს შეუდგა კიდეც და მკითხა, თარჯიმანი ხომ არ მჭირდებოდა. რაღაც საოცარი ცინიზმი ვიგრძენი ამ სიტყვებში, არა იმდენად მთქმელისაგან, არამედ სისტემისაგან. სამშობლოს გიმუსრავს, შენი ერის ინტერესებს ფეხქვეშ თელავს, ენას გართმევს და დაგცინის კიდეც: „თარჯიმანი ხომ არ გჭირდებაო?“ უარი განვაცხადე.

თანამშრომელმა ქაღალდი და ავტოკალამი მოიმარჯვა და დაკითხვა დამიწყო. კაცს, რომელსაც დიდებული ქართული გვარი ჰქონდა, ქართული ძალიან უჭირდა. მისი დაკითხვების მიზანი ერთი იყო — გაერკვია, სიმართლე ვუთხარი თუ არა წინა დღეს მცირე ხნით შეხვედრისას. შევატყე, ძალიან აინტერესებდა, გაეგო, სად ვნახე პროკლამაცია, რომელიმე სტუდენტს ხომ არ გამოვართვი. მთელი მისი დაკითხვა ამას უტრიალებდა. მე უკვე მქონდა გამოცდილება და უშიშროების ახალგაზრდა თანამშრომელი იოლად ვერაფერს დამტყუებდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მან თავის მიზანს ვერ მიაღწია. მაგრამ ერთხანს ინტიბარი მაინც არ გაიტეხა და ბოლოს იმას უტრიალებდა მისი კითხვები, კორპუსის მარჯვენა კიბის საფეხურზე ვნახე პროკლამაცია თუ მარცხენაზე. თავიდანვე, თუ არ ვცდები, მარჯვენა კიბე ამოვიჩემე და ბოლომდე მაგრად დავრჩი ამ პოზიციაზე. ბოლოს უშიშროების თანამშრომელმა ორივე გვერდზე ჩამოწერა დაკითხვის შედეგები და ხელი მომაწერინა. ხელი ისე მოვაწერე, რომ ტექსტს არ გავცნობივარ, ასე „ვენდე“.

ამ ორ ამბავში არაფერია ისეთი, მკითხველს რომ გააკვირვებდა. ჩვეულებრივი ისტორიაა, თუმცა ხელწერა ორივეგან ერთია: სხვის სამსახურში ჩამდგარი თანამემამულე ერთ შემთხვევაში დოსიეს აგროვებს ცნობილი ქართველი მოაზროვნეების წიგნებში გატარებულ აზრებზე, შემდგომ მათ ავტორთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის. მეორე შემთხვევაში კი, ასევე ქართველი კაცი სტუდენტების გაბმასა და მათზე საქმის შედგენას ცდილობს. ამ ხელწერაში კი ყველაზე დიდი საერთო ის იყო, რომ ყველაფერი ეს კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობისათვის?!.

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ბ-ნ ნ. გრიგალაშვილს

ბატონო რედაქტორო, გიტოვებთ ამ ვრცელ წერილს ედუარდ შევარდნაძეზე მცირე განმარტებითურთ. საქმე შემდეგში გახლავთ. წერილი სხვადასხვა რედაქციებში ჩამოვატარე, მაგრამ მან დღის სინათლე ვერ იხილა, რისი მიზეზიც ძალზე უბრალოდ შეიძლება აიხსნას. სტატიაში ძირითადად დადებითად მაქვს შეფასებული ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობა. როგორღაც პარადოქსული ვითარებაა ჩვენს რედაქციებში შექმნილი. არიან პიროვნებები, რომელთა მისამართით მხოლოდ ქებაა ნებადართული, არიან პიროვნებები, რომელთა ქება აკრძალულია, ლანძღვა-გინება კი სასურველი. ცხადია, ამ პიროვნებათა შესახებ ოფიციალური „უკაზი" არ გამოცემულა. მაგრამ რედაქციებმა იციან ვის მიმართ რა პოზიცია აქვს ხელისუფლებას და ცდილობენ მდგომარეობა არ გაირთულონ...

ვიცი, ჩემი წერილის პათოსი არც თქვენ მოგეწონებათ, რადგან კარგად მახსოვს თქვენი სტატია — „ორი ვიზიტი ყარაყორუმს". ამ სტატიის ავტორს ედუარდ შევარდნაძისადმი სიმპათიას ვერ დავწამებთ, მაგრამ იქნებ თქვენ მაინც გამოიჩინოთ საწინააღმდეგო აზრისადმი შემწყნარებლობა და გაბედულებაც და გამოაქვეყნოთ ეს ნაშრომი.

პატივისცემით
თემურ მირიანაშვილი.

# რედაქტორისაგან

წერილის ავტორისაგან „დანამუსებული", ვბეჭდავ სტატიას სრული სახით. თუმცა, მისი გამოქვეყნება არავითარ გაბედულებას არ მოითხოვს. ჩემს თავს მოვალედაც კი ვთვლი, დავბეჭდო ის წერილებიც, მით უფრო პროფესიონალის დაწერილი, რომელთა პათოსს არ ვეთანხმები, რათა რედაქციის კოლექტივი ცალ კარში მოთამაშეთა გუნდს არ დაემსგავსოს. მაგრამ, ბუნებრივია, პილატესავით ხელს ვერ გადავიბანთ და განზედ ვერ გავდგებით. ამიტომ, ამთავითვე მინდა განვაცხადო, მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთწარმოდგენილ წერილში ბევრი რამ საგულისხმოა, მაინც არ ვისურვებდი მკითხველს ავტორის პოზიცია სრულად გაეზიარებინა.

თ. მირიანაშვილი გულმოდგინედ ცდილობს ედუარდ შევარდნაძის დიდ მამულიშვილად და დიდ პოლიტიკოსად წარმოდგენას. დიდი პოლიტიკოსი შევარდნაძე მართლაც გახლავთ, მაგრამ ისტორიამ უამრავი ქართველი იანიჩარი იცის სხვათა სამეფოს კარზე აღზევებული და მსოფლიო მასშტაბის მოღვაწედ ქცეული, თავისი პატარა ქვეყნის დამღუპველთა სატახტოს რომ ამშვენებდნენ. ამ იანიჩართაგან თავის მამულს არცერთი არ გამოსდგომია, საკუთარი სამშობლო კი ბევრ მათგანს დაუქცევია და მტრის ჯარებს წინაც გამოსძღოლია...

„დიდ" იანიჩართა გალერეაში, ღმერთმა ქნას, ედუარდ შევარდნაძე ერთადერთ გამონაკლისად მოგვევლინოდეს, მაგრამ საქართველოში ერთა შერწყმის ლაბორატორიისა თუ ექსპერიმენტის ანდერძდამტოვებელი, გაიმეტებს საკუთარ თავს საექსპერიმენტოდ?..

# ედუარდ შევარდნაძე

ქართველები მცირერიცხოვანი და ღვთისგან მივიწყებული ერი ვართ. ამიტომ, გასაგებია, ძალიან გვიხარია, როცა ვიგებთ, რომ ჩვენმა რომელიმე თანამემამულემ საქვეყნო აღიარებას მიაღწია. ცნობებს საერთაშორისო დონეზე ქართველთა წარმატების შესახებ ჩვენი პრესა ისეთი აღფრთოვანებით გვამცნობს ხოლმე, როგორც ფრონტზე მოპოვებულ გამარჯვებებს.

ასე იყო ყოველთვის, მაგრამ დღეს პარადოქსული ამბავი ხდება. დღეს მთელს მსოფლიოს პირზე აკერია ქართული გვარი, საოცარი ქება-დიდებით იხსენიებენ ქართველ კაცს, აცხადებენ მას არა მხოლოდ უთვალსაჩინოეს პოლიტიკოსად, არამედ, რაც მთავარია, თანამედროვეობის ერთ ყველაზე პროგრესულ და ნათელ პიროვნებად. მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსები შეუფარავი სიამაყით აცხადებენ, რომ აქვთ პატივი იყვნენ ჩვენი თანამემამულის მეგობრები. ერთი სიტყვით, ქართველი კაცი არის დღევანდელი მომენტისთვის ყველაზე პოპულარული დედამიწის ზურგზე და, ალბათ, მხოლოდ ქართული პრესა წერს ამ კაცზე, მის საოცარ აღიარებაზე ცალყბად, მშრალად და ცივად. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ქართველი ავტორები ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი სახელოვანი თანამემამულის გაკენწვლას.

რატომ ხდება ასე? რატომ არის ჩვენში ასეთი დამოკიდებულება ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი?

ეს, რა თქმა უნდა, რიტორიკული კითხვაა. ქართველთა შორის საკმაოდ ბევრი მოიძებნება, ვინც სრულიად მარტივად გასცემს მასზე პასუხს. კი ბატონო, ედუარდ შევარდნაძე უდაოდ დიდი პოლიტიკოსია. ალბათ გენიალურიც კი. მაგრამ ამ დიდ პოლიტიკოსს თავისი სამშობლოსთვის არა გაუკეთებია რა, ყოველ შემთხვევაში — სასიკეთო. ავი კი ბევრი გვახსოვს მისგან, გვეტყვიან ეს ადამიანები და ჩამოთვლიან უკვე უამრავგზის ჩამოთვლილს პირად საუბრებშიც, მიტინგებზეც, მაღალი ოფიციალური ტრიბუნიდანაც, პრესაშიც.

თითოეული ჩვენთაგანისათვის ძალიან კარგად არის ცნობილი ე. შევარდნაძისადმი წაყენებული ეს „საბრალდებო დასკვნა", მაგრამ უმოკლესად მაინც გავიხსენოთ.

საქართველოს კომპარტიის ყოფილ პირველ მდივანს უხსენებენ მის უამრავ გამონათქვამს, შემცველს „დიადი საბჭოური სინამდვილის" და „უფროსი ძმის" ხოტბისა; უხსენებენ იმასაც, რომ პანეგირიკებს უთხზავდა „ლენინური ტიპის მოღვაწეს, ყველასგან პატივცემულ" ბრეჟნევს. ე. შევარდნაძეს შეუდარებლად უფრო მძიმე დანაშაულიც ბრალდება: კორუმპირებულობა, კარიერისტობა, მრავალი ქართველის რეპრესირება, რომელთაგანაც ზოგიერთი მეტისმეტად სასტიკად დაისაჯა — დაიხვრიტა. ე. შევარდნაძეს ბრალდება აგრეთვე ზღვარგადასული დამთმობლური პოლიტიკის წარმოება აფხაზ სეპარატისტების მიმართ, რამაც მათი მეტისმეტი გათავხედება და საბოლოო ჯამში კრიზისული სიტუაციის შექმნა გამოიწვია. ედუარდ შევარდნაძის ოპონენტები ყოველთვის საგანგებოდ უსვამენ ხაზს მის „წვლილს" 9 აპრილის ამბებში. ყოველივე ამასთან ერთად აღინიშნება პიროვნული ნაკლოვანებანიც — ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილი, სწრაფვა პირადი მეგობრებისა და მახლობლების დაწინაურებისაკენ...

მოკლედ, ბატონ ე. შევარდნაძის პორტრეტს მისი ოპონენტები უკიდურესად მუქი ფერებით ხატავენ. პირადად მე აქედანვე პირდაპირ ვიტყვი, რომ არ ვიზიარებ ამგვარ აზრს. ცხადია, ედუარდ შევარდნაძე არც შეუმცდარი და არც უცოდველია. მაგრამ თუ მთელს მის ნამოღვაწარს შევაჯამებთ, ნათელი საწყისი, ჩემის ღრმა რწმენით, ბევრჯერ გადაწონის ბნელს. მისდამი წაყენებულ უმძიმეს ბრალდებებში კი ბრალმდებელთა ტენდენციუროობა უფრო ჩანს, ვიდრე ე. შევარდნაძის ბრალეულობა.

მაგრამ სანამ ე. შევარდნაძის მოღვაწეობის ავ-კარგზე ჩემს აზრს გავუზიარებდე მკითხველს, მინდა შევახსენო ერთი ძველი და ბრძნული აზრი: პოლიტიკა არის **შეხაძლებლის ხელოვნება.** ამდენად, პოლიტიკოსის ნაღვაწის ობიექტურად შესაფასებლად, უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომელ და როგორ ეპოქაში მოუხდა მას მოღვაწეობა და თუ ამას გავითვალისწინებთ, თუ გავიხსენებთ იმ კოშმარულ ათწლეულებს, რომელნიც საბჭოური ხანის სახელით შევიდა ისტორიაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველ პოლიტიკოსებს (აგრეთვე სხვა სფეროთა მოღვაწეებსაც) ვერ ჩაეთვლებათ დიდ დანაშაულად ბოლშევიკური ტირანიისა და პარტიულ ბელადთა სახოტბო გამონათქვამები (თუ, ცხადია, ამ სარიტუალო გამონათქვამთა უკან არ ჩანს ნამდვილად დანაშაულებრივი მიზნები).

უნდა გვახსოვდეს, რომ, როგორც დამონებულ ინდივიდუუმს, ისე დამონებულ ერს (და, მაშასადამე, ამ ერის ლიდერებს), არ მოეთხოვებათ თავისუფალ ინდივიდუუმთა (ერთა) დარად ყოველთვის მხოლოდ სიმართლის ლაღადი. დატყვევებულისა და დამონებულისაგან სიმართლის თქმა ზოგჯერ უგუნურებას ნიშნავს, ზოგჯერ კი პროვოკატორობასაც. ტყვეობა-მონობაში საპატიოა გარკვეული კომპრომისი, ლავირება, დიპლომატიზმი (ამ ცნებების ნებისმიერი გაგებით) რადგან ყოველივე ეს შეიძლება გამიზნული იყოს დამტყვევებელ-მჩაგვრელის ყურადღების მოსადუნებლად, მის გასაცურებლად, უმძიმეს პირობებში სიცოცხლის შესანარჩუნებლად და განთავისუფლებისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

თუ ყოველივე ამას არ გავითვალისწინებთ და მხოლოდ დღევანდელი — გლასნოსტის ეპოქის პოზიციებიდან, განვსჯით უკანასკნელი შვიდი ათწლეულის (თუგინდ ორი საუკუნის) ქართველ მოღვაწეებს, შეიძლება ბევრ დიდ წინაპარს. მათს შორის თვით ერის მამებსაც მძიმე და დაუმსახურებელი პრეტენზიები წავუყენოთ.

ენა პოლიტიკოსებს, როგორც ცნობილია, იმისთვის აქვთ, რომ თავიანთი აზრები დაფარონ. ეს განსაკუთრებით რუსეთის იმპერიაში მოღვაწე პოლიტიკოსებზე ითქმის. ამიტომ ნუ განვსჯით მათ მხოლოდ იმის საფუძველზე, რაც **უთქვამთ.** იმასაც დავაკვირდეთ, რაც **უქმნიათ.**

მაშ ასე, განვიხილოთ ბატონ ედუარდის **ნაქმნარი** — ავიც და კარგიც. ამისათვის კი პირველყოვლისა კიდევ ერთი ძველთაძველი ჭეშმარიტების გახსენება მოგვიხდება: ყველაფერს შედარება წარმოაჩენს; „შევარდნაძის დროინდელი" საქართველოს მდგომარეობა უსათუოდ უნდა განვიხილოთ სხვა საბჭოური რესპუბლიკების მდგომარეობის ფონზე. უამისოდ ვერაფრით ვერ შევიქმნით სრულ წარმოდგენას ჩვენი რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის მოღვაწეობის ხასიათსა და მიღწევებზე.

ამ სტრიქონების ავტორს სპეციალურად აქვს შესწავლილი ვითარება საბჭოთა კავშირის არსებითად ყველა რეგიონში და შეუძლია სრული პასუხისმგებლობით განაცხადოს, რომ სამოცდაათიან წლებსა და ოთხმოციანის პირველი ნახევრისთვის არცერთ რესპუბლიკაში (შესაძლოა, მხოლოდ სომხეთში) არ განხორციელებულა საქართველოს დარად სასიკეთო კულტურული და ეთნიკური პოლიტიკა.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ სტალინის ჯოჯოხეთურ ტერორზე, მაგრამ ერებისთვის, მათი ენების, კულტურების, ტრადიციული ყოფისთვის ყველაზე საშინელი ჟამი დაიწყო სამოცდაათიანი წლების დამდეგიდან, როცა საბჭოთა საშინაო პოლიტიკის არქიტექტორად იქცა მ. ა. სუსლოვი. დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში უპრეცენდენტო შეტევა ყველა ერის (ცხადია, რუსთა გარდა) ყოველგვარ ფასეულობებზე, მათს საარსებო ინტერესებზე, რამაც გამოიწვია საშინელი ტემპით წარმართვა თვით მრავალრიცხოვანი ერების (უკრაინელების, ბელორუსების, შუა აზიელების, ყაზახთა, აზერბაიჯანელთა) დენაციონალიზაციის და გამანქურთების პროცესისა (ავტონომიებსა და სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს მოკლებულ ერებზე აღარას ვამბობ. ისინი ჯოჯოხეთურ დღეში არიან ან საერთოდ აღარ არიან — გადაშენდნენ). დაუჯერებელია, მაგრამ ამ რესპუბლიკებში ეროვნულ ენებზე იცემოდა მხოლოდ თითო, ისიც ხშირად მცირე ფორმატიანი და მცირე ტირაჟიანი სალიტერატურო ჟურნალი. ეროვნულ ენებზე არ ხმოვანდებოდა მხატვრული ფილმები. ქალქებში თითქმის მოისპო ეროვნული სკოლები. ახალგაზრდობამ ან სრულიად დაივიწყა დედაენა, ან ჩიქორთულად მეტყველებს... რაც შეეხება ბალტიისპირელ ერებს, მათი სულიერი მდგომარეობა უკეთესია (ვიმეორებ, მხოლოდ სულიერი), რადგან მათ იბრძოლეს ეროვნულ ფასეულობათა გადასარჩენად, მაგრამ პასუხად კრემლმა ბალტიისპირეთს საუკუნო ტრაგედია დაატეხა — სულ რაღაც ათწლეულის მანძილზე შეიყვანა ამ რეგიონში უაღრესად დაბალკულტურულ მიგრანტთა მილიონიანი ბრბოები არაშავნიადაგიანი რუსეთიდან.

საქართველოს კი ეს ყოველივე ასცდა. საქართველო იყო არსებითად ერთადერთი რესპუბლიკა, სადაც სამოცდაათიან წლებსა და ოთხმოციანის პირველ ნახევარში არსდებოდა თეატრები, ჟურნალგაზეთები. საქართველოში არ მოხდა სკოლის რუსიფიკაცია, არც ის არის უმნიშვნელო ამბავი, რომ თბილისში განხორციელდა ძველი უბნების რეგენერაცია (ბალტიისპირეთის ზოგიერთ ქალაქშიც აღადგინეს ისტორიული ქუჩები, მაგრამ შეუდარებლად უფრო მცირე მასშტაბით)... ყოველივე ეს, ცხადია, არ არის მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის დამსახურება; ქართულ ფასეულობათა, ქართული სულის გადასარჩენად თავდაუზოგავად იბრძოდა ჩვენი ინტელიგენცია. მაგრამ ჩემთვის კარგად არის ცნობილი, სხვა რესპუბლიკებში როგორ უსწორებდნენ ანგარიშს ინტელიგენტებს თუნდაც ოდნავი პატრიოტული ქმედებისთვის. უკეთეს შემთხვევაში, მათი ნააზრევი, მათი შემოქმედება „უჯრისთვის" იყო განწირული. ეს, ვიმეორებ, უკეთეს შემთხვევაში.. ქართველებს კი, როგორც გლასნოსტის ეპოქის დადგომის შემდეგ გაირკვა, საერთოდ არ აღმოგვაჩნდა „უჯრის" ნაწარმოებები. ამ ფაქტს ხშირად აღვნიშნავთ და მისი კონსტატაცია ყოველთვის შეიცავს შეფარულ (ზოგჯერ კი აშკარა) საყვედურს ჩვენს „თვინიერ" მწერალთა, ხელოვანთა მიმართ. მაგრამ განა სამართლიანია ეს საყვედური? განა არ შექმნილა საქართველოში სამოცდაათიან წლებსა და ოთხმოციანის პირველ ნახევარში ჭეშმარიტად პატრიოტული და ბრძნული ქმნილებანი. ცხადია, შეიქმნა. ოღონდ ისინი არ დარჩენილა „უჯრაში". დღეს, როცა ვეცნობით ბოლოსდაბოლოს გამოქვეყნებულ რუსეთის თუ სხვა რესპუბლიკათა „უჯრის" ნაწარმოებებს, ვრწმუნდებით, რომ მათი დიდი უმრავლესობა სიმწვავით, „დისიდენტურობით" ვერც კი შეედრება ოთარ ჭილაძის რომანებსა და მურმან ლებანიძის ლექსებს, მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებებსა და რობერტ სტურუას სპექტაკლებს, ელდარ შენგელაიასა და თენგიზ აბულაძის ფილმებს... „შევარდნაძის ეპოქაში", ცხადია, სხვა ავტორებმაც შექმნეს და გამოაქვეყნეს ჭეშმარიტად მართალი და პატრიოტული ნაწარმოებები. მე მხოლოდ ნაწილი დავასახელე. ქართველები ბალტიისპირელებს ვთვლით ეროვნულ ფასეულობათათვის თავდადებულ ერთა ეტალონებად. ჩემთვის კი ცნობილია ბალტიისპირელების არაერთი გამონათქვამი, სადაც აღიარებულია, რომ „ზასტოის" დროს სწორედ ქართული ენის, სკოლის, კულტურის მდგომარეობა იყო ყველაზე უკეთესი (ამასვე აღიარებენ მრავალი სხვა ერის წარმომადგენლებიც).

და რაკი პოლიტიკოსზე მსჯელობენ არა იმით, რასაც ის **ამბობს,** არამედ იმით, რასაც **აკეთებს,** უფრო ზუსტად, — რაც მის დროში **კეთდება,** განა ედუარდ შევარდნაძეს არ უნდა ვუმადლოდეთ, რომ „ზასტოის" დროს ჩვენი ერის სულიერი მდგომარეობა, სხვა ერებისაზე უკეთესი იყო!

ან განა უდიდესი ბედნიერება არ არის, რომ საქართველოს ასცდა რუსეთიდან მიგრანტთა ასობით ათასიანი ან მილიონიანი ბრბოების შემოსევა! სამოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან კრემლმა ხელოვნურად გააცხოველა მიგრაციული პროცესები, რაც მიმართული იყო იმ რესპუბლიკათა წინააღმდეგ, რომელნიც ეურჩებოდნენ რუსიფიკატორებს, არ თმობდნენ თავიანთ ენას, ეროვნულ ფასეულობებს. სწორედ ასეთ რესპუბლიკებში (ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, მოლდოვა) შეიყვანა კრემლმა სულ რაღაც ათწლეულის მანძილზე ორ მილიონამდე რუსი. საქართველოშიც სურდათ მიგრანტების შემოსახლება (გურიაში, სამეგრელოში, გარე კახეთში), მაგრამ ჩვენთვის დამღუპველი ჩანაფიქრი საბოლოოდ მაინც არ განხორციელდა. საქართველოში რუსთა რიცხვი სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში არამცთუ არ გაზრდილა, არამედ შემცირდა კიდეც.

ჩვენ, რიგითი ადამიანები არ ვიცნობთ „ზასტოის" დროინდელ „პოლიტიკურ სამზარეულოს", ამიტომ არ ვიცით, კონკრეტულად რამ (ან ვინ) აარიდა საქართველოს დამღუპველი იმიგრაცია, მაგრამ ცხადია, რომ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა ახერხებდა დროის გაჭიანურებას და საბოლოოდ იხსნა კიდეც ქართული მიწა-წყალი მრავალრიცხოვანი დაუპატიჟებელი სტუმრისაგან.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის უდაო დამსახურებაა ისიც, რომ საქართველოს სამოცდაათიან წლებში, სულ მცირე, ორჯერ ასცდა 9 მარტისა და 9 აპრილის დარი ტრაგედიები. პირველად, 1977 წლის 23 ივლისს „დინამოს" სტადიონზე, როცა საბჭოთა სპორტში ათწლობით წარმოებულმა უსინდისო, შოვინისტურმა პოლიტიკამ ბოლოსდაბოლოს აუვსო მოთმინების ფიალა ქართველ გულშემატკივრებს. რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი ტრიბუნებიდან მინდორზე გადავიდა, მოხდა შეტაკება მილიციასა და სამხედროებთან. ხალხი უარს ამბობდა დაშლაზე. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მასობრივ პროტესტს (მითუმეტეს, ამგვარი ფორმით გამოხატულს!) 1977 წელს! მაგრამ სტადიონზე მოვიდა შევარდნაძე, პირისპირ შეხვდა გამძვინვარებულ ხალხს და დაარწმუნა, რომ ჯობდა დაშლილიყვნენ.

ის, რაც სტადიონზე მოხდა, გამოდგა 1978 წლის მარტ-აპრილის დიადი ამბების რეპეტიცია. ამ ამბებითა და მათი აპოთეოზით — 14 აპრილის დემონსტრაციით ქართველები სამართლიანად ვამაყობთ. იმ დღეს ქართველმა ხალხმა მხოლოდ დედაენის სახელმწიფო სტატუსი როდი დაიცვა. ეს იყო გაცილებით უფრო დიადი მნიშვნელობის გამარჯვება ქართველი სტუდენტების, ინტელიგენციის, მთელი ჩვენი ერისა. როცა ვამბობ, მთელი ერისა-მეთქი, ვგულისხმობ საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობასაც. 14 აპრილის დემონსტრაციის მონაწილენი (რომელთა შორის მეც ვიყავი), დამეთანხმებიან, რომ თითქმის არაფერი გაკეთებულა უნივერსიტეტიდან დაძრული ხალხის შესაჩერებლად, თუ არ ჩავთვლით ერთ შავ „ვოლგას", რომელიც დემონსტრანტებს მოყვებოდა და რომლიდანაც ვიღაც ქალი ისტერიულად გაჰკიოდა. „შეჩერდით, სისხლი არ დაიღვაროსო!". მეორე „წინაღობა" იყო რუსთაველის თეატრის წინ ერთ მწკრივად მდგომი უიარაღო ჯარისკაცები, რომელნიც დემონსტრანტთა მოახლოებისთანავე გაიფანტნენ. ერთი სიტყვით, 1978 წლის გაზაფხულის ამბებში აშკარად იგრძნობოდა თანადგომა „ზემოდან".

ეხლა ვკითხოთ: უნდა მივუტევოთ თუ არა პოლიტიკოსს კომპარტიის ხოტბა, ბრეჟნევის ლიქვნა და მზის ჩრდილოეთიდან ამოყვანა, თუკი ამით მან მოიპოვა კრემლის მიხრწნილ „ბელადთა" ნდობა, კეთილგანწყობა და შექმნა საქართველოში სხვა რესპუბლიკებზე უკეთესი პირობები კულტურისთვის, ენისთვის, ეროვნული სკოლისთვის; აარიდა საქართველოს დამღუპველი იმიგრაცია და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა?

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(გაგრძელება)

ყველაზე მძიმე ბრალდება, წაყენებული ე. შევარდნაძისადმი, უკავშირდება მის მიერ სამოციანი წლების მეორე ნახევარში (ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობისას) დაწყებულ და სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში განგრძობილ „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის“ კამპანიას. აგრეთვე, სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ოცდაექვსი კომისრის რაიაღმასკომის თავმჯდომარის, მექრთამეობაში დადანაშაულებული იუზა კობახიძისა (1980 წ.) და თვითმფრინავის გატაცებაში დადანაშაულებული ოთხი ახალგაზრდისათვის (1984 წ.).

პირველყოვლისა, შევეხოთ „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას“. ამ კამპანიის შესაფასებლად აუცილებელია ობიექტურად გავიხსენოთ საქართველოში ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ შექმნილი ვითარება, ხალხის მდგომარეობა და განწყობა.

სამოციანი წლების მეორე ნახევარში ბესტსელერებად იქცა ბატონ გურამ ფანჯიკიძის რომანები, რომლებშიც უმწვავესად იყო გაკრიტიკებული ქართული საზოგადოების მაშინდელი ყოფა. ეს რომანები ხელიდან ხელში გადადიოდა, და, შეიძლება ითქვას, მთელმა ერმა წაიკითხა. მათს ავტორს გმირად აცხადებდნენ და, უდაოდ, იყო კიდეც გმირობა იმ დროს საქართველოს მდგომარეობაზე სიმართლის თქმა, საერთოდ, გ. ფანჯიკიძის რომანთა ყაიდის თხზულებებზე მოთხოვნილება ძალიან დიდი იყო. გადავათვალიეროთ იმჟამინდელი ლიტერატურული პრესა; არამხოლოდ ეპიკური და დრამატული, არამედ ლირიკული ჟანრის ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობაც კი სწორედ „ნეგატიურ მოვლენათა“ მხილებას ეძღვნება. თითქმის არ დარჩენილა ქართველი მწერალი, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს ამ თემის დამუშავებაში.

რაზე მეტყველებს ყოველივე ეს? იმაზე, რომ ქართველი ინტელიგენცია, მთელი ერი უაღრესად შეწუხებული იყო შექმნილი ზნეობრივი და კრიმინალური ვითარებით. მეტისმეტად გამრავლებული და, რაც მთავარია, სრული დაუსჯელობით გათავხედებული საქმოსნები, ბაფიოზები უკიდურესად გამომწვევად იქცეოდნენ: ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფდნენ უბრალო მშრომელ ადამიანებს, თავზე ლაფს ასხამდნენ მათ, ზოგჯერ კი ცოლშვილსაც უწიოკებდნენ. აი, ამის წინააღმდეგ იმაღლებდნენ ხმას ჩვენი მწერლები, ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ეხლა დავფიქრდეთ, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ ვითარებაში ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი და შემდეგ „პირველი კაცი“? სრულიად უყურადღებოდ დაეტოვებინა საზოგადოების შეშფოთება, აღშფოთება, ჩივილი და თავზე ხელი ესვა დამნაშავეთათვის?

მე, ცხადია, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა იმხანად უდანაშაულო ადამიანებიც დაისაჯნენ, მაგრამ ამჯერად ლაპარაკია ტენდენციაზე, შევარდნაძის პოლიტიკის ძირითად მიმართულებაზე. თუ ეს პოლიტიკა არასწორი იყო, მოდით, ყველაფერს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს ნუ დავაბრალებთ. თავისი წილი პასუხისმგებლობისა იკისრონ ქართულმა ლიტერატურამ და საზოგადოების ფართო ფენებმა, რომელნიც აღნიშნული პოლიტიკის დამკვეთებად მოგვევლინენ.

ამბობენ, „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლამ“ საქართველოს მთელს კავშირში გაუტეხაო სახელი. ჩემი აზრით, ეს არაა ასე. უკვე ამის შემდეგ, განსაკუთრებით ორმოცდაათიანი წლებიდან, ქართველებს საკავშირო დონეზე შეგვექმნა არასასურველი იმიჯი — კომბინატორების, ვაჭრუკანების, მექრთამეებისა. „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლამ“ ამ არასასურველი სტერეოტიპის დაძლევას უფრო შეუწყო ხელი.

იმასაც ამბობენ, რომ ე. შევარდნაძის ბრძოლამ კრიმინალურ ელემენტთა წინააღმდეგ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ეს სწორია — კორუფცია არ აღმოფხვრილა. პირიქით, სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან, საშინელი ინფლაციისა და სოციალისტური იდეის საბოლოო დისკრედიტაციის წყალობით, „დამხმარე“ შემოსავალი, ხაზინის გაქურდვა აღარ ითვლებოდა სამარცხვინო საქმედ (სამოციან წლებამდე ასე არ იყო. იმხანად საზოგადოების ძირითადი ნაწილი არ კადრულობდა უკანონო შემოსავალს, რადგან ჯერ კიდევ შეეძლო ხელფასით ასე თუ ისე თავის გატანა და რწმენაც ჰქონდა რაღაცისა).

მოკლედ, „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას“ არ გამოუწვევია ჩვენი საზოგადოების განწმენდა. ვერც გამოიწვევდა, რადგან სამოცდაათიანი წლების შუა ხანიდან დაიწყო საბჭოთა სისტემის საბოლოო კრიზისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის შეუძლებელი გახდა პატიოსანი შრომით არსებობა, ხალხმა დაკარგა ყოველგვარი რწმენა და პატივისცემა ხელისუფლების, კანონისა. მაგრამ შევარდნაძისგან წარმოებულ კამპანიას მაინც ჰქონდა გარკვეული დადებითი მხარე: რად ღირს თუნდაც ის, რომ „ფულიანთა“ საქციელი გახდა ნაკლებ გამომწვევი, შეურაცხმყოფელი და სახიფათო გარშემომყოფთათვის.

არ მინდა ისე გამიგოს ვინმემ, თითქოს ყველაფერში ვამართლებდე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მას, ჩემის რწმენით, აწევს ცოდვები. ერთ ცოდვაზე ამჯერად ვილაპარაკებ. დანარჩენებზე ცოტა ქვემოთ, მაგრამ, მოდით და ცოდვებიც ობიექტურად შევაფასოთ.

სასიკვდილო განაჩენები, გამოტანილი იუზა კობახიძისა და ოთხი ახალგაზრდისადმი, თავისი ულმობლობით, ცინიზმით, არაადამიანურობით ბოლშევიკური რეჟიმის სხვა მთავარ დანაშაულებს უთანაბრდება.

მექრთამეობა და თვითმფრინავის გატაცების მცდელობა, ცხადია, ყველა ქვეყნის კანონმდებლობით მძიმე დანაშაულებად კვალიფიცირდება. მაგრამ ენით აუწერელი ბარბაროსობაა, სიცოცხლე მოუსპო ადამიანს, იმისთვის, რომ მან ქრთამი აიღო! ენით აუწერელი ბარბაროსობაა, დახვრიტო ყველა მონაწილე თვითმფრინავის გატაცების მცდელობისა, მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის გაუთვალისწინებლად; დახვრიტო ისიც კი, ვინც თვითმფრინავში საერთოდ არ ყოფილა!

ამ საკითხზე სხვაგვარი აზრი არ შეიძლება გვქონდეს, მაგრამ უნდა ითქვას ესეც: ბოლშევიკური ტირანიისადმი ზვარაკად შეწირულ ხუთ ადამიანს მკვდრეთით ვეღარ აღვადგენთ. ის კი აუცილებელია, რომ შეწყდეს ამაზრზენი სპეკულაცია წამებულთა აჩრდილებით! ნუთუ ჩვენმა საზოგადოებამ უსასრულოდ უნდა განაგრძოს განტევების ვაცთა ძიება და არცერთ ჩვენთაგანს არ უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, უბრალოდ ადამიანობა, რომ ვაღიაროთ თითოეული ჩვენთაგანის, მთელი ქართველი საზოგადოების პასუხისმგებლობა, მეტიც — დანაშაული ამ ჯოჯოხეთური განაჩენების გამოტანისა და აღსრულებისათვის.

დღეს აბსოლუტურად ყველანი ერთხმად გავიძახით, რომ ეს ადამიანები უსამართლოდ დაიხვრიტნენ. ამის აღიარებით თითქოს ვიმშვიდებთ სინდისს. სინამდვილეში პირიქით — ჩვენი ცოდვა უფრო მძიმდება, თუ ასე კარგად გვესმოდა დანაშაულის უსამართლობა, რატომ არ გავაკეთეთ ყველაფერი ადამიანების სახსნელად? ჩვენ ხომ არ მოგვიმოქმედებია არაფერი ი. კობახიძის და თითქმის არაფერი ახალგაზრდების სიცოცხლის შესანარჩუნებლად!!!

ამ საკითხზე ძალიან ბევრთან მილაპარაკია. პასუხად ყველას პირიდან მაგნიტოფონზე ჩაწერილივით აბსოლუტურად ერთიდაიგივე ტექსტი გაისმის: მაშინ სხვა დრო იყო, მაშინ არ იყო იოლი დემონსტრაციის, შიმშილობის, გაფიცვის გამართვა, ამიტომ ყველაფერი კრემლისა და მისი დამქაშის, შევარდნაძის ბრალია.

კრემლსა და შევარდნაძეს არავინ ხსნის პასუხისმგებლობას, მაგრამ ნუთუ არ გვესმის ამგვარი თავისმართლების ამორალურობა?! ვინ არ იცის, რომ „იმ დროში“ რაოდენ ენერგიულადაც არ უნდა გამოგვეხატა პროტესტი უსამართლო განაჩენთა გამო, ამისთვის არცერთ ჩვენგანს არ დახვრეტდნენ, არც ხანგრძლივი დროით „ჩასვამდნენ“. ადამიანთა სიცოცხლის სახსნელი აქციებით შეგვექმნებოდა მხოლოდ გარკვეული დისკომფორტის საფრთხე. ვგულისხმობ თანამდებობისა და შემოსავლის დაკარგვას, ცხოვრების შეჩვეული რიტმიდან ამოვარდნას... ერთი სიტყვით, საჭირო იყო მხოლოდ თავის შეწუხება, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით ამ „მსხვერპლის“ გაღება. ეროთადერთი, რაც გაკეთდა, იყო ის, რომ ინტელიგენციამ შეაგროვა ხელმოწერები ახალგაზრდების შეწყალების თხოვნით, მაგრამ ერთი დაცაცხანებისთანავე უკან წაიღო.

როცა ჩვენს პირად პასუხისმგებლობას შეეხება საქმე, მაშინვე გვახსენდება, რომ თვითმფრინავის გატაცება იმხანად უნიკალურ დანაშაულთა რიგს გახეკუთვნებოდა. ამიტომ კრემლს სურდა, სანიმუშოდ დაესაჯა ჩვენი ბიჭები. გვახსენდება, რომ ი. კობახიძის საქმეზე სრული სიმართლე ჯერაც არ თქმულა, რომ კვალი საზღვარგარეთაც კი მიდის, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის სავალუტო ფონდს გარკვეული ზარალი მიადგა, რამაც, ბუნებრივია, კრემლის მესვეურთა გააფთრება გამოიწვია და გაჩნდა ი. კობახიძეზე შურისძიების წადილი...

ყოველივე ამის აღნიშვნით თითქმის თავს ვიმართლებთ, მაგრამ ასე ხომ ე. შევარდნაძესაც შეუძლია იმართლოს თავი! რაკი ორივე პროცესს ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა, რაკი კრემლის ბევრი „სამოდური“ ლიდერები დიდ „აღმზრდელობით“ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დანაშაულის ჰიპერტროფირებასა და ბრალდებულთა განსაკუთრებული ულმობლობით დასჯას, რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ვერც შევარდნაძე უშველიდა საქმეს! მითუმეტეს მხოლოდ შევარდნაძე! ჩვენი საზოგადოება ხომ თავის გულისწყრომას მხოლოდ პირად ჩურჩულში გამოხატავდა! რომც მიემართა შევარდნაძეს დონკიხოტური დემარშისთვის, შედეგი მხოლოდ მისი კარიერის დასასრული იქნებოდა, ხოლო მათ, ვინც გაწირა კრემლმა, დახვრეტა არ ასცდებოდათ.

სულ სხვაგვარად შეიძლება წასულიყო საქმე, საზოგადოებას რომ აეზვირთებინა საპროტესტო აქციები! ჩვენ ხომ უკვე გვქონდა გამოცდილება იმისა, რომ საყოველთაო პროტესტებს, დემონსტრაციას კრემლმა დათმობით უპასუხა!

დიახ; გვქონდა ამგვარი გამოცდილება, ვიცოდით ეს. და მაინც ვერ შევძელით — არა, დიდი მსხვერპლის გაღება კი არა — უბრალოდ თავის შეწუხება. სამაგიეროდ, ედუარდ შევარდნაძეს ვუყენებთ მოთხოვნებს უკიდურესი მაქსიმალიზმის პოზიციებიდან. ვავალდებულებთ, რომ მას ჩაედინა გმირობა (თუმცა, ვიმეორებ, მართლაც რომ ჩაედინა ამგვარი გმირობა შევარდნაძეს, რომ დაესვა წერტილი თავისი კარიერისათვის, კრემლისგან განწირულთ ალბათ მაინც ვერ იხსნიდა).

პერესტროიკამ ერთი სიკეთე მაინც მოგვანიჭა — შეგვიძლია ვთქვათ და ვბეჭდოთ ყველაფერი, რაც გვსურს, მაშ მოდით ვიყოთ გულწრფელნი, თვითკრიტიკულნი და თანამიმდევრულნი. უარვყოთ ტენდენციურობა. გვახსოვდეს, რომ დამშავებელი ერთს აშავებს, დამბრალებელი კი — ათასს.

თუ ამ პოზიციიდან შევაფასებთ ედუარდ შევარდნაძის როლს აღნიშნულ ორ სასამართლო პროცესში, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ცოდვა აღემატება რიგით ქართველთა ცოდვას (თუმცა, ცოდვილნი და დამნაშავენი დაღუპულთა წინაშე ყველა ვართ), მაგრამ შევარდნაძის ცოდვა არ აღემატება ჩვენი ერის სხვა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ლიდერთა ცოდვას!

**ბატონ** ედუარდ შევარდნაძეს, როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდება ისიც, რომ მან დაიწყო მეტისმეტად დამთმობლური პოლიტიკის გატარება აფსუა ბიუროკრატთა მიმართ, რითაც მისცა მათ საშუალება, წამოეწყოთ „ცალ კარში თამაში“.

ვინც კარგად იცნობს აფხაზეთთან დაკავშირებულ ფაქტებს და არც ობიექტურობა ღალატობს, დამეთანხმება, რომ მახინჯი ეთნოპოლიტიკის განხორციელება საქართველოს ამ კუთხეში დაიწყო ე. შევარდნაძემდე — მის „გაპირველკაცებამდეც“ და დაბადებამდეც.

ცენტრის მიერ აფსუებისადმი მინიჭებულ პრივილეგიებსა და ამ პრივილეგიების მიზანდასახულობაზე ჩვენში ბოლო ხანს ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. მაგრამ პირადად მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჯერ არ გაგვიმახვილებია ყურადღება არც ამ პრივილეგიათა უმთარეს არსზე და არც ყველაზე დიდ პრივილეგიებზე. ახლა უსათუოდ ონდა ითქვას ორიოდე სიტყვა ყოველივე ამის შესახებ.

აფსუათადმი ბოძებული მთავარი პრივილეგიის, ყველა დანარჩენი პრივილეგიის წყაროს არსი შემდგომში მდგომარეობს: ოციან-ოცდაათიან წლებში, როცა საბჭოთა კავშირში არსდებოდა სხვადასხვა (სულ ოთხი) გრადაციის სახელმწიფო წარმონაქმნები, ცენტრი ხელმძღვანელობდა ამ დაუწერელი კანონით: ავტონომიური რესპუბლიკა — მხოლოდ იმ ერებს, რომელთა რიცხვი 250 ათასს სჭარბობდა (თუმცა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან ერებსაც კი არ შეუქმნეს არავითარი ავტონომია). აფხაზთა რაოდენობა მაშინ 50 ათასზე ოდნავ მეტი იყო, მაგრამ მათ 1931 წელს ავტონომიური რესპუბლიკა ებოძათ (მანამდე — მოკავშირე რესპუბლიკაც კი). ეს კიდევ არაა ყველაფერი. კავკასიის რეგიონში არის 5 ავტონომიური რესპუბლიკა. აქედან სამი ფედერაციულია (ანუ თითოეულ მათგანში გაერთიანებულია ორი ან მეტი მკვიდრი ერი — ჩეჩნები და ინგუშები, ყაბარდოელები და ბალყარელები, დაღესტნელი ერები) და მხოლოდ ორ ერს — აფხაზებსა და ოსებს აქვთ განცალკავებული ავტონომიური რესპუბლიკები (ოსებს ოლქიც ჰქონდათ ქართულ მიწაზე).

შეიძლება ვინმემ თქვას, არ აქვს დიდი მნიშვნელობა ერს ავტონომიური რესპუბლიკა ექნება, ოლქი თუ „ოკრუგიო“. ეს არ არის სწორი აზრი. ავტონომიურ რესპუბლიკებს გააჩნიათ ოლქებსა და ოკრუგებზე გაცილებით გაბერილი აპარატი, რაც, როგორც მოგეხსენება, ბიუროკრატიის აკვანია. ასე დაიწყო კრემლმა ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან გოშიებივით ერთგულ აფსუა ბიუროკრატთა გამოჩეკვა და გამოკვება.

ახლა ამ ბიუროკრატთა მოშენების მიზანსა და დანიშნულებაზე: ჩვენ ხშირად აღვნიშნავთ, რომ კრემლი აფხაზ ბიუროკრატიას ანტიქართული მეხუთე კოლონის მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ გარეშე კაცისთვის გაურკვეველია, რატომ ემზადებოდა მეტროპოლია იმთავითვე ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და რატომ მიიჩნევდა მოკავშირეებად აფხაზებსა და ოსებს? საქმე აქ იმაშია, რომ ცენტრმა იცოდა — განახლებული იმპერიის უზარმაზარ რეგიონში — შუა აზიაში, რსფსრ-ის სამხრეთში, კავკასიაში მოსახლე მკვიდრ ერთაგან ოციან-ოცდაათიანი წლებისთვის ქართველებისა და სომხების გარდა, ყველა იყო კულტურული თვალსაზრისით ახალგაზრდა. კულტურულად ახალგაზრდა ერების ასიმილირება კი შედარებით იოლია, როგორც ბავშვის სურვილისამებრ აღზრდა. რაც შეეხებათ ქართველებს, მათში კრემლი ყოველთვის ხედავდა პოტენციურ სეპარატისტებს. აკი ჰქონდა კიდეც სათანადო გამოცდილება — მეცხრამეტე საუკუნის პირველი ორი ათწლეულის უამრავი აჯანყება, 1832 წელი, „თერგდალეულთა“ მოძრაობა, 1918, 1920 და 1924 წლები.

აი, რატომ იზრუნა კრემლმა ასე საგულდაგულოდ საქართველოში მეხუთე კოლონების შესაქმნელად; აფხაზ-ოსთა კულტურული ასიმილაციის პროცესი მაშინ უკვე დამთავრებული იყო (თვით დ. გულია და კ. ხეთაგუროვიც კი ძირითადად რუსულად წერდნენ). დღეისათვის ეთნიკურადაც თითქმის სრულიად ასიმილირებულნი იქნებოდნენ, შიდა რუსეთის ავტონომიათა მკვიდრების დარად, რომ არა ქართველ „შოვინისტთა“ გავლენა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტროპოლიამ იცოდა, გოშიები — აფხაზი და ოსი ბიუროკრატები ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდნენ ქართველთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭირო იყო მხოლოდ მათი კარგად კვება.

არც შემცდარან კრემლში. თუ ქართველი ერის „საბჭოური“ ისტორია აღსავსეა თავისუფლებისათვის საოცრად გმირული ბრძოლის მომენტებით, აფხაზები ყოველთვის იმპერიულ ძალთა რიგებში იყვნენ და ჩვენ გვებრძოდნენ. თავიანთი „განსაცდელის“ შესახებ მათ პირველად 1947 წელს (სტალინის დროში!!!) განაცხადეს საჯაროდ, [illegible] ესერიგად ამაყობენ. მაგრამ, [illegible] საკვირველებავ! — არცერთი პროტესტანტი არ დასჯილა. პირიქით, იგივე ხდება 1957, 1967, 1978 წლებში და დღესაც. მხოლოდ აფსუებს ჰქონდათ უფლება სტალინ-ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქებში „ხმა აღემაღლებინათ სამართლიანობისათვის“. კრემლი მხოლოდ აფხაზებს ცნობდა ოფიციალურად ჩაგრულ ერად.

ასე რომ, უსამართლობაა იმის მტკიცება, შევარდნაძემ დააწყებინაო აფსუებს „ცალ კარში თამაში“. უკვე სტალინისა და ბერიას დროს არსებობდა დისპროპორცია თანამდებობის განაწილებაში; მიუხედავად იმისა, რომ ქართველები აფხაზეთში ბევრად სჭარბობდნენ აფსუებს, თანამდებობები დაახლოებით პროპორციულად ნაწილდებოდა. აფხაზთა გაბატონება კი დაიწყო 1957 წლიდან, მაგრამ ამისათვის, ვფიქრობ, არც ვ. მჟავანაძე და არც ე. შევარდნაძე არ უნდა გავამტყუნოთ, რამეთუ, ჯერ ერთი, თავს ზევით ძალა არ არის, კრემლის ნებას წინ ვერავინ აღუდგებოდა. მეორეც — ჩემის ღრმა რწმენით, იმ ეტაპზე გამართლებული იყო აფსუა ჩინოვნიკების დაპურება-დაშოშმინება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათს ყოვლად დაუსჯელ ანტიქართულ აქციებს, წარმოებულს ციკლურად, შეიძლება პერმანენტული ხასიათი მიეღო. ამ შემთხვევაში კი, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდნენ დამთხვეული ხრუშჩოვი და სკლეროზიანი ბრეჟნევი! ხომ შეიძლება ამდგარიყვნენ და დაეკმაყოფილებინათ „აფხაზ მშრომელთა“ მოთხოვნა — გაეწევრიანებინათ აფხაზეთი კრასნოდარის მხარეში.

იქნებ მითხრან, ამას კრემლი არ იზამდა, რადგან ამ შემთხვევაში აფხაზეთი დაკარგავდა მეხუთე კოლონის ფუნქციას საქართველოში. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ ათწლეულებში იმპერიას სათავეში ედგნენ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, არანორმალური ადამიანები — ხრუშჩოვი და ბრეჟნევი. გარდა ამისა „ქართველთა შოვინისტობისა და აუტანლობის“ დასტურად აფხაზეთის რუსეთში „გაქცევაც“ იკმარებდა. თანაც რუსეთი შეიმატებდა დიდებულ მხარეს!..

ასე რომ, განუსჯელად ნუ განვიკითხავთ ვასილ მჟავანაძესა და ედუარდ შევარდნაძეს!

**არიან** ადამიანები, რომელნიც 9 აპრილის ამბებში ხედავენ „შევარდნაძის ხელს“, მიუხედავად იმისა, რომ არ გამხდარა ცნობილი არცერთი სათანადო ფაქტი და დოკუმენტი. ბრალმდებელთა პოზიცია ამგვარ „ლოგიკას“ ემყარება: როგორ შეიძლება არ სცოდნოდა თბილისში ჩაფიქრებული ოპერაციის შესახებ პოლიტბიუროს წევრს?!

დღეს, როცა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ საბჭოური ხელისუფლების ლაბირინთებში მიმდინარეობს გააფთრებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დემოკრატებსა და რეაქციონერებს შორის, რომელთაგანაც პირველთა, დემოკრატების ავანგარდში იდგა ედუარდ შევარდნაძე, ხოლო რეაქციონერთა ბირთვს წარმოადგენენ სამხედროები, ჟანდარმერია, ნუთუ ასე ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ რეაქციონერებს ემოქმედათ დღეისათვის მათ მიერ არსებითად უკვე დამარცხებული, პოლიტიკური არენიდან გაძევებული ე. შევარდნაძის უკითხავად, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ?!

ისინი, ვინც შევარდნაძეს სწამებს 9 აპრილის ინსპირატორობას, თავს დემოკრატებად სთვლიან. მაშ რად ავიწყდებათ დემოკრატიის ერთი უმთავრესი პრინციპი — უდანაშაულობის პრეზუმპცია. ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს არამხოლოდ სასამართლოში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. ფაქტი შევარდნაძის ბრალდებულობისა 9 აპრილის ტრაგედიაში, არ არსებობს. ის კი ფაქტია, რომ თბილისში მისი ვიზიტის შემდეგ, სულ რაღაც ერთ კვირაში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, გავიდა ჯარი, თუმცა სხვა რეგიონებში საგანგებო მდგომარეობა თვეობით და წლობით გრძელდება.

ბატონი ედუარდის ბრალეულობის ვერავითარი საბუთები ვერ მოაქვთ ვერც მათ, ვინც მას სწამებს მექრ-

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

# ედუარდ შევარდნაძე

თამეობას, მაფიასთან (თუ მაფიებთან) კავშირს და ა. შ. ეს ბრალდებებიც მხოლოდ „ხალხურ ზეპირსიტყვიერებას" ეყრდნობა. ამგვარი ხმები ადრე კიდევ შეიძლებოდა გერწმუნებინა, მაგრამ დღეს, როცა შესაძლებელია არსებითად ყველანაირი მასალის გამოქვეყნება, რატომ ვერავინ აქვეყნებს ე. შევარდნაძის მაკომპრომატირებელ ფაქტებს?! მეტყვიან, ე. შევარდნაძე შენიღბვის დიდოსტატიაო. კი მაგრამ, მას ხომ უამრავი მტერი ჰყავს და ყოველთვის ჰყავდა პირველყოვლისა სწორედ მხილების დიდოსტატთა — „კომპეტენტურ ორგანოთა" თანამშრომლებს შორის! სწორედ მათ შორის, ვინც შეადგენს რეაქციული ბანაკის ბირთვს. დასაჯერებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ცეკას პირველ მდივანს, საკავშირო საგარეო საქმეთა მინისტრს, ექაფა ქრთამები, ეწარმოებინა მაქინაციები, კუდი კუდზე ჰქონოდა გადაფსკვნილი მაფიებთან და ვერც სუკს, ვერც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვერც სამხედრო დაზვერვას, თავიანთი უამრავი მომიჯნავე და შვილობილი დაწესებულებებით ვერავითარი ფაქტები ვერ გამოეჩხრიკათ, მიუხედავად იმისა, რომ ჭირივით სძულთ იმპერიის დამშლელი შევარდნაძე და ყველაფერს მისცემენ მისი მაკომპრომატირებელი ფაქტისათვის?!

ახლა მეორე, დემოკრატიული ბანაკიდან შევხედოთ საქმეს. მიიღებდნენ თავიანთ რიგებში დემოკრატები ნაძირალას, მითუმეტეს, ერთერთ ლიდერად აღიარებდნენ?!

დავაკვირდეთ თვით „კორუმპირებულ" შევარდნაძის საქციელსაც: პერესტროიკის დაწყებისთანავე იგი იწყებს ბრძოლას დემოკრატიზაციისათვის, „ახლებური აზროვნებისათვის"!.., გამოდის, რომ კაცს, რომელსაც მტრები სივერაგის ეტალონად აცხადებენ, საკუთარი ტოტის ჭრა დაუწყია; „ახლებურ აზროვნებას" ხომ მისი პირადი მხილების საფრთხეც შეიძლება შეექმნა! ნუთუ არიან იმდენად უგუნური ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ედუარდ შევარდნაძე უგუნურ კაცად გამოაცხადონ?!

**არის** ერთი ბრალდება, რომელსაც ალბათ ყველაზე ხშირად უყენებენ ე. შევარდნაძეს. ეს ბრალდებაა კარიერიზმი. მაგრამ დავფიქრდეთ, შეიძლება თუ არა ე. შევარდნაძის კარიერისტად გამოცხადება?

თავდაპირველად იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს „კარიერიზმი". თავისთავად ნებისმიერი ადამიანის სწრაფვაში, გაიკეთოს რაც შეიძლება უკეთესი კარიერა, დასაძრახი არაფერია. ცნებას „კარიერიზმი" იმიტომ აქვს უარყოფითი აზრი, რომ იგი თავის თავში გულისხმობს უპრინციპობას; კარიერისტად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ აბსოლუტურად უპრინციპო ადამიანი, ვისთვისაც სულერთია რა გზებითა და მეთოდებით ამაღლდება სამსახურებრივ იერარქიულ კიბეზე; ვისთვისაც სულერთია ვის ან რას ემსახურება.

ედუარდ შევარდნაძემ ნამდვილად ბრწყინვალე კარიერა შეიქმნა. და მთელი მსოფლიო სწორედ ამ კარიერისთვის სცემს მას პატივს. მსოფლიოს თვალში იგი არის არა პრიმიტიული კარიერისტი, არამედ პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც იბრძვის გარკვეული პრინციპებისათვის, იმარჯვებს ამ ბრძოლაში და სამსახურებრივი ზესვლის წყალობით სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ამკვიდრებს თავის პრინციპებს.

მოდით, ვცადოთ, ცივილიზებული დასავლეთის თვალით შევხედოთ ბატონი ედუარდ შევარდნაძის მიერ განვლილ გზას. შინაურ მღვდელს ხომ შენდობა არ აქვს და იქნებ უცხო თვალმა აღმოგვაჩენინოს მრავალი სასიკეთო მომენტი დიდი ქართველი პოლიტიკოსის ნამოღვაწარში.

დასავლეთისთვის ე. შევარდნაძე არის კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ სამოციან წლებში **პირველმა საბჭოთა ფუნქციონერთაგან** გაბედა ეთქვა, რომ „მსოფლიოში ყველაზე პროგრესულ საზოგადოებას" მრავალი ნეგატიური, მახინჯი თვისება აქვს. ეს იყო საბჭოური ცხოვრების წესის პირველი სერიოზული და გლობალური კრიტიკა წარმოებული „ციხის შიგნიდან", ანუ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლისაგან. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ე. შევარდნაძემ, კვლავ **პირველმა საბჭოთა ფუნქციონერთაგან**, წამოიწყო აბსოლუტურად ანტისოციალისტური ხასიათის სამეურნეო ექსპერიმენტები (აბაშაში, ფოთში და ა. შ.). გასაგებია, რომ ეს ექსპერიმენტები მარქსისტული ფრაზეოლოგიით ინიღბებოდა („მარქსიზმის განვითარება, გაღრმავება" და მისთ.), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბოლშევიკი ბელადების აკვიატებით დანერგილი უტოპიური და არაადამიანური წარმოების წესის გვერდით გაჩნდა თავისუფალი, მომგებიანი შრომის ჩანასახი. მკვიდრდებოდა აზრი, რომ მარქსიზმი „შეიცავს" სრულიად აშკარა კაპიტალისტურ ელემენტებს.

ე. შევარდნაძის მიერ დიპლომატიურად წარმოებული მხილება სოციალისტური საზოგადოებისა („ნეგატიურ მოვლენებთან" ბრძოლა), აგრეთვე წარმოების პროგრესული წესის თანდათანობითი დამკვიდრების ცდა კარგად არის ცნობილი დასავლეთში. ამიტომ დასავლელი მოღვაწეები არამც და არამც არ გაიზიარებენ აზრს, რომ შევარდნაძე ტიპური საბჭოთა კარიერისტია; მათ იციან, რაოდენ დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული სამოციან-სამოცდაათიან წლებში საბჭოთა საზოგადოებაში არსებული „ნეგატიური მოვლენების" აღიარება და აშკარად კაპიტალისტური წარმოებითი ელემენტების ნერგვა. ჩვენ, ქართველებმა ყოველივე ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძემ, როგორც უკვე ითქვა, შექმნა პირობები იმისა, რომ საქართველოში დედაენის, კულტურის, ეროვნული სკოლის მდგომარეობა უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. საქართველოში ქვეყნდებოდა ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა ავტორებს სხვა რესპუბლიკებში ციხე ან საგიჟეთი არ ასცდებოდათ.

ახლა დავფიქრდეთ, შეიძლება ყოველივე ამის შემოქმედ პოლიტიკოსს ეწოდოს კარიერისტი?

ე. შევარდნაძის მოღვაწეობის პროგრესული არსი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საგარეო საქმეთა მინისტრად მისი დანიშვნის შემდეგ. პერესტროიკის დაწყებისთანავე, როცა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გამოიკვეთა აშკარა კონფრონტაცია დემოკრატებსა და რეაქციონერებს შორის, ე. შევარდნაძე უყოყმანოდ ჩადგა პირველთა რიგებში, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატები რეაქციონერებზე შეუდარებლად უფრო მცირერიცხოვანნი და სუსტნი იყვნენ. თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტიდანაც შეიძლება მივიღოთ პასუხი კითხვაზე, არის თუ არა შევარდნაძე კარიერისტი? განა კარიერისტი სუსტ და არაპერსპექტიულ ფრაქციას მიემხრობა?!

ეს ყოველივეც კარგად იციან დასავლეთში და ამიტომაც აფასებენ ბატონ ედუარდს, მაგრამ მთავარი, ცხადია, არის არა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის და პოლიტბიუროს წევრისა, არამედ მისი კონკრეტული საქმიანობა ერთ-ერთ უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე. დასავლეთშიც, ჩვენშიც ყველა ობიექტური ადამიანი ხედავს, რა ჭეშმარიტად დიადი საქმეები დაუკავშირდა ედუარდ შევარდნაძის სახელს — ცივი ომის დამთავრება, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის, ამ ორი მოსისხლე მტრის გადაქცევა თითქმის პარტნიორ ქვეყნებად; აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება; საბჭოთა კავშირის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების დასრულება თითქმის ყველა კონტინენტზე; დახმარების შეწყვეტა სისხლიანი რეჟიმებისათვის (ვიეტნამი, კუბა, ეთიოპია და ა. შ.); ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა..

საოცარია, რომ ყოველივე ამის მოქმედი პოლიტიკოსის პროგრესულობას მტკიცება სჭირდება მის სამშობლოში. თუმცა, ჩვენ ხომ ოდითგანვე მოგვდგამს ჩვენი ერის საუკეთესო შვილთა კილვა, დამცირება, დევნა!

ძალიან ხშირად გაიგონებ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი დიადი სასიკეთო გარდაქმნები სულაც არ არის შევარდნაძის დამსახურება, რადგან იგი მ. გორბაჩოვის კარნახით მოქმედებდაო. ამგვარი აზრი, სხვათაშორის, ძირითადად მხოლოდ ჩვენში, საქართველოში გაისმის. დასავლეთში კი, განსაკუთრებით ბოლო ხანს, საპირისპირო აზრს უფრო ადგანან: სთვლიან, რომ საბჭოთა კავშირის პროგრესული საგარეო პოლიტიკა შევარდნაძის დამსახურება უფრო არის, ვიდრე გორბაჩოვისა. ამგვარ შეხედულებას უდაოდ გააჩნია საფუძველი: გორბაჩოვს ვერვინ დაუკარგავს იმას, რომ მან მისცა მიმართულება ახალ საგარეო პოლიტიკას, მაგრამ შევარდნაძემ მოახდინა ამ პოლიტიკის კონკრეტული რეალიზაცია, რაც შეუდარებლად უფრო რთული საქმე იყო, ვიდრე თეორიული სქემის შემუშავება. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე იდგა ორი თითქმის დაუძლეველი წინაღობა, რომლებიც მან დასძლია საოცრად სწრაფად, ეფექტურად და თითქოს ყოველგვარი თვალხილული ძალისხმევის გარეშე. პირველი წინაღობა იყო მთელი ცივილიზებული მსოფლიოს აბსოლუტური უნდობლობა ბოლშევიკთა ტერორისტული და ამორალური ხელისუფლებისადმი. საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენჯერ იკადრა ყოვლად უსინდისო ტყუილი, დემაგოგია დასავლეთთან ურთიერთობაში, რომ უკანასკნელის თვალში დაკარგა ყოველგვარი ნდობა და პატივისცემა. ამიტომ დღეს დასავლელი პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის დაახლოების პროცესი შეიძლება არ დაძრულიყო მკვდარი წერტილიდან, რომ არა შევარდნაძე — დიპლომატი, რომელმაც დასავლელ ლიდერებთან პირველივე კონტაქტებით დაიმსახურა მათი სიმპათია და ნდობა თავისი სიბრძნით, შინაგანი პატიოსნებით და საოცარი ადამიანური მომხიბვლელობით. უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებით აღნიშნავენ დასავლეთში — შევარდნაძეს აქვს უნარი პირველივე შეხვედრით მეგობრად და თაყვანისმცემლად აქციოს ნებისმიერი პოლიტიკოსი.

ერთი სიტყვით, ე. შევარდნაძემ შესძლო დაერწმუნებინა დასავლეთი, რომ „ახალი აზროვნება" საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში არ იყო მორიგი პროპაგანდისტული ტრიუკი.

მეორე წინაღობა, აღმართული პროგრესული საგარეო პოლიტიკისაკენ მიმავალ გზაზე, პირველ წინაღობაზე არანაკლებ და ალბათ მეტადაც რთული იყო: უნდა დაძლეულიყო თვით რუსეთში არსებული ზემძლავრი რეაქციული ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა.

დღეს ადვილია ფაქტების კონსტატაცია. გათავისუფლდა აღმოსავლეთი ევროპა, შეწყდა ჩარევა ავღანეთში, მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებში და ა. შ. მაგრამ გავიხსენოთ სულ რამდენიმე წლის წინანდელი სიტუაცია, როცა ველიკორუსული შოვინიზმისა და მესიანიზმის ბოდვითი იდეებით მოწამლული ბოლშევიკები მზად იყვნენ თუნდაც უშარვლოდ დაეტოვებინათ რუსეთი, ოღონდ რუსულ ჩექმას ეტკეპნა, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა რუსეთი ცხოვრების ყველა სფეროში — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში... კრახამდე მიიყვანეს, იმპერიის ფარგლების ნებისმიერი საშუალებებით გაფართოება მათი, ბოლშევიკთა არსებობის ერთადერთ გამართლებად იქცა. შევარდნაძემ კი იმპერიის მთელი საზღვარგარეთი ნაწილი გაათავისუფლა! თანაც იმდენად დახვეწილი დიპლომატიით, რომ რეაქციონერებმა გონს მოგებაც ვერ შესძლეს, მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ.

ის ათობით და ასობით მილიონი ადამიანი, ვინც პირველყოვლისა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოღვაწეობამ იხსნა ბოლშევიზმის პირისაგან, მოსკოვიდან ინსპირირებული კომშარული სამოქალაქო ომებისაგან, განა ოდესმე დაგვეთანხმებიან რომ ედუარდ შევარდნაძე კარიერისტია?!

ან როგორ შეიძლება კარიერისტი ეწოდოს კაცს, ვინც მთელს საბჭოთა ისტორიაში გახდა მგონი პირველი მაღალი დონის თანამდებობის პირი, გადამდგარი თავისი ნებით?!.. ე. შევარდნაძემ უარი თქვა არამხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრობაზე, არამედ ვიცე-პრეზიდენტობის პერსპექტივაზეც. მერე კი... მერე ე. შევარდნაძეს იმის შანსიც ეხსნებოდა, რომ კიდევ ერთ ქართველ იმპერატორად მოვლენოდა რუსეთს.

მაგრამ შევარდნაძემ უარი თქვა ამაზე, რადგან სურდა გამოეფხიზლებინა დემოკრატიული ძალები, მოეწოდებინა მათთვის აქტიური ქმედებისაკენ; სურდა (როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით) სამსახური გაეწია უმძიმეს დღეში მყოფი საქართველოსთვის.

ჩვენ კი, ქართველები ამ მოღვაწეს შხამიან ისრებს ვუშენთ, საქართველოსკენ მომავალ ხიდებს ვუწვავთ!

განსაკუთრებით ამაზრზენია გარკვეულ ძალთა მცდელობა ხელი აფათურონ ე. შევარდნაძის პირად ცხოვრებაში. დასწამონ მას, რომ თითქოს იგი განსაკუთრებულ პრივილეგიებს უქმნიდა თავისი ოჯახის წევრებს, ძმაკაცებსა და იმ კუთხის შვილებს, სადაც თვითონ დაიბადა და გაიზარდა.

ეს არის აბსოლუტურად უსაბუთო ბრალდებები. დღეს, როცა ვიცით, რა მახინჯი ფორმები მიიღო „ზასტოისდროინდელ" ლიდერთა მახლობლების პრივილეგიებმა, მათმა ყოველგვარ წრეს გადასულმა ჰედონიზმმა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ედუარდ შევარდნაძეს არავითარი „განსაკუთრებული პირობები" არ შეუქმნია არც თავისი ცოლისთვის, არც შვილებისა თუ დისწულ-ძმისწულებისთვის.. პირიქით, ცნობილია, როგორ დააქვეითა ღვიძლი ძმა.

**ეხლა** კვლავ შევარდნაძის ცოდვებს დავუბრუნდეთ. მისი ყველაზე დიდი ცოდვა, ჩემის აზრით, არის, ის, რომ „ნეგატიური მოვლენების" წინააღმდეგ ბრძოლის დროს აშკარად კრიმინალურ ელემენტებთან ერთად რეპრესიები განიცადეს სრულიად უდანაშაულო ადამიანებმაც — ქართველმა კომერსანტებმა, რომელნიც მოწოდებულნი იყვნენ აღორძინებინათ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა. მათი საქმიანობა ვერ თავსდებოდა „დიად სოციალისტურ პრინციპებთან". ეს იყო ერთადერთი „დანაშაული".

ამ ოცი-ოცდაათი წლის წინ ჩვენში, სამწუხაროდ, თითქმის არავინ ცდილობდა გაემიჯნა, ერთის მხრივ, ქურდი, მექრთამე, მაფიოზი და, მეორეს მხრივ, ბიზნესმენი, მრეწველი. არ ცდილობდა ამას არც ე. შევარდნაძე და ეს არის მისი დიდი ცოდვა. თუმცა, ვფიქრობ, ისევე, როგორც თავისი თაობის ადამიანთა დიდ უმრავლესობას, აღზრდილს ლენინურ-სტალინური პროპაგანდის მიერ, ე. შევარდნაძესაც იმხანად გულწრფელად სწამდა, რომ ყოველგვარი ანტისოციალისტური ხასიათის კომერცია დანაშაულია.

ცხოვრების დინების კვალობაზე ვითარდება პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხედულებებიც. როცა აშკარად თვალსაჩინო გახდა სოციალისტური წარმოების უტოპიური არსი, შევარდნაძემ, როგორც უკვე ვთქვით, ერთმა უპირველესმა გამოავლინა მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება — დაიწყო კაპიტალისტური ელემენტების ფრთხილად ნერგვა.

საზოგადოებას განსაკუთრებით აღიზიანებდა ე. შევარდნაძის ვირტუოზული უნარი ათასნაირი დროშების, ორდენების, სიგელების „ჩაწყობისა". ჩვენი „ზასტოისდროინდელი" „პირველი კაცი" ნამდვილად დიდოსტატი იყო კრემლის მიხრწნილ ლიდერთათვის თვალში ნაცრის შეყრის, ბუქის დაყენების, საქართველოს გამოცხადებისა კომუნიზმისგან ნახევარ ნაბიჯზე მყოფ რესპუბლიკად. დიახ, ედუარდ შევარდნაძე ყველაფერს აკეთებდა, რათა, რაც შეიძლება მაღალ დონეზე „ეტივტივა", მაგრამ მხოლოდ ამისათვის ნუ განვსჯით მას. გავიხსენოთ, რომ თავისი „ტივტივით" ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებაც შესძლო.

ხშირად გაიგონებ, რომ ე. შევარდნაძე რამდენიმე ადამიანს პირადი მტრობის საფუძველზე მოეპყრო უსამართლოდ. ეს თუ სიმართლეა, ერთი ყველაზე საშინელი ცოდვა იქნება შევარდნაძისა. მაგრამ არის კი სიმართლე? ამის გარკვევა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს (დღეს უკვე [illegible]). ამიტომ, სასამართლომ [illegible] რუხდეს ძველ საქმეთ განაჩენებს (თუკი ესეთები არსებობს) და უჩვენოს საზოგადოებას შევარდნაძის უსამართლობის ფაქტები.

ჩვენი ცეკას ყოფილი პირველი მდივანი შესაძლოა ეშვებოდა პირად ანგარიშსწორებამდე, შესაძლოა — არ ეშვებოდა. ცოდვები მას უამისოდაც აწევს. მაგრამ დღეს, როცა ამდენს ვლაპარაკობთ ურთიერთმიმტევებლობაზე, როცა ისიც ყველამ ვიცით, რომ უცოდველი არავინაა ამ ქვეყნად, რაღა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს არ უნდა მივუტევოთ არაფერი?! ამ კაცმა ხომ ამდენი სიკეთე გაუკეთა მთელს მსოფლიოს, საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ ძალებს, თავის სამშობლოს! ბოლოს და ბოლოს ეს კაცი ხომ **გვჭირდება!!!**

**დღეს** — საქართველო უმძიმეს საგარეო და საშინაო მდგომარეობაში იმყოფება.

— დღეს — 63 წლის ედუარდ შევარდნაძეს გააჩნია კოლოსალური საერთაშორისო წონა, გამოცდილება, კავშირები. ამასთან იგი იმყოფება პოლიტიკური ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნის ასაკში.

ნუთუ ეროვნულმა მოძრაობამ არ უნდა ცადოს ედუარდ შევარდნაძის გამოყენება?!

ზოგი იტყვის, შევარდნაძე თავს არ შეიწუხებს საქართველოსთვისო. მე მგონი, ეს არ არის სწორი. გაზ. „მოსკოვსკიე ნოვოსტის" (№ 1, 91) კორესპონდენტის კითხვაზე, რა საქმიანობას აპირებთ მომავალშიო, ყოფილმა მინისტრმა უპასუხა, რომ ქმნის საგარეო პოლიტიკის ასოციაციას. თვით ასოციაციის კონკრეტული ამოცანები კი ასე განსაზღვრა: „სრულიად შესაძლებელია, რომ მიდგომები, რომელთაც ჩვენ ვიყენებდით საგარეო პოლიტიკის ყველაზე რთულ პრობლემათა გადასაჭრელად, გამოგვადგეს იმ კონფლიქტური სიტუაციების დაძლევაში, რომლებიც ესე გვაშფოთებს ქვეყნის შიგნით, — ჩვენს ერთაშორის ურთიერთობებში".

როგორც ვხედავთ, ბატონი ე. შევარდნაძე უკვე ჩართულია ჩვენი ერის წინაშე მდგომი ერთი ყველაზე მწვავე პრობლემის გადაჭრისთვის ბრძოლაში. თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ხმაურს არ ატეხავს ამის თაობაზე; მიავანა კატის დაჭერილი თაგვი სად ნახულა! დღეს ყველა ქართველს აშფოთებს სამშობლოს ბედი და რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ შევარდნაძეა ერთადერთი გამონაკლისი?!

ცალკე საკითხია, როგორი უნდა იყოს შევარდნაძის ადგილი, როლი, სტატუსი ჩვენს დღევანდელ მოძრაობაში. ამასაც თვითონ მოიფიქრებს, თუკი ცხადია, ხელს არ ვკრავთ და სამშობლოდან ფეხს არ ამოვაკვეთინებთ. ერთის თქმა კი ამთავითვე შეიძლება: კაცი, რომელმაც ნებაყოფლობით თქვა უარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრობასა და იმპერატორობის აშკარა პერსპექტივაზე, რომელმაც უზარმაზარ მსოფლიო აღიარებას მიაღწია, საქართველოში აღარ ეცდება კარიერის გაჩარხვას, არ დაუწყებს პოტინს ნებისმიერ სავარძელს. რაოდენ პატივმოყვარე კაცადაც არ უნდა ვთვლიდეთ შევარდნაძეს, ფაქტია — მისი პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულია. საქართველოს სარბიელი მას ველარაფერს შესძენს.

დარწმუნებული ვარ იგი დასჯერდება კონსულტანტის ან საერთაშორისო დონეზე საქართველოს რაიმე სახის წარმომადგენლის სტატუსს.

ედუარდ შევარდნაძეს — უკვე ხანშიშესულ კაცს, ცხოვრებისაგან დაბრძენებულს, უთვალავი რამის მხილველსა და გადამტანს, დღეს ორი ინტერესიღა შეიძლება ჰქონდეს სამშობლოში: უმძიმეს დღეში მყოფი ერისათვის დახმარების გაწევა და კეთილი ხსოვნის დატოვება.

არახალია ქართველთაგან დიდი თანამემამულეების არდაფასება, უარყოფა. მაგრამ თუ ჩვენ დღეს ხელს ვკრავთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ეს იქნება ტრაგიკული შეცდომა, რომელსაც ახლო პერსპექტივაში ვერ გამოვასწორებთ და რომელსაც არასოდეს გვაპატიებს შთამომავლობა.

ჯემალ აფციაური

# ფიქრები ხმამაღლა

**ძნელი** გახდა დღეს წერა, დამძიმდა კალამი, მართლაც, სვრელივით უნდა გაგქონდეს ყოველი სტრიქონი, რომ შენს ნაწერს წამკითხველი გაუჩნდეს პუბლიკაციათა იმ თეთრ ნიაღვარში, დიახაც რომ სჭირდება დღევანდელ საქართველოს....

არ ვიცი, ამ მხრივ ამ წერილს რა ბედი დაჰყვება, მაგრამ როგორ არ მინდა, ვინმემ ენის წვერზე აზრიალოს ჩემი გვარი და სახელი მხოლოდ იმიტომ, რომ ის უნდა ვთქვა, რაც ჩემი რწმენის კედელზე სწერია...

წინასწარ ვითხოვ შენდობას, თუ ან სიტყვა გამექცა, ან კიდევ პოლემიკურმა სიფიცხემ სადავეები წამართვა...

მე ასე მჯერა — თუ იმას არ წერ, რასაც ფიქრობ, ჯერ, ვაი, შენ და მერე იმ ქვეყანას, ვისაც ძედ თუ ასულად უზრდიხარ — შენს დანთებულ სანთელს ეშმაკი ჩააქრობს, შენს ნათქვამს ქარი გადაყლაპავს და შენს ნაწერსაც დრო აჰკენკავს და გააქრობს. ასეთია ლოგიკა იმ მისტერიისა, რასაც კალმის ხელში აღება და ფურცლის სიწმინდისთვის აზრის მიბარება ჰქვია...

მაგრამ კმარა... ახლა მთავარ სათქმელს მივადგეთ — დიახაც, ბედნიერია ჩვენი თაობა, რომ იმას მოესწრო, რისი ასრულებაც არც თუ ახლო მომავლის ხვედრი გვეგონა. ღმერთო ჩემო, სად გვიცხოვრია, სად გვიცვეთია ისედაც მოკლე წუთისოფლის წლები, ჩვენთან ერთად საცოდავია ისტორიაც — ხუთწლედების პატიმარი, უცოდველთა სისხლით დაჭორფლილი... დროის ეს უზარმაზარი ტომარა — ეს სამოცდაათი წელი ხომ ადამიანთა ძვლების ჩხრიალით, გოდებით, კვნესით და ცრემლით არის სავსე და ღმუის, ხარხარებს, იმუქრება, საბედნიეროდ, იმ უკვე თავმოკრულ ტომარაში ჩამწყვდეული აპოკალიპსი...

ამოგლეჯილი ენებივით ეყარნენ აკრძალული წიგნები ცხრაკლიტულში, ჩირივით ახმობდნენ მოწინავე იდეებს კომუნისტური იდეოლოგიის „ჩახჩახა“ მზეზე, ყოველ ჩვენგანს ცხრაფეხას რამდენიმე თვალი სდარაჯობდა. რომელსაც ისიც კი უნდა სცოდნოდა — სიზმარში ხომ არ ნახე თავისუფლება, ხომ არ გაგახსენდა, რომ ადამიანი ხარ და არა მხოლოდ კომუნიზმის მშენებელი... რა სასაცილოები ვიყავით პარტიაზე სიმღერებით ლოყებდაბერილები. როგორ სილასავით გაგვაწნავდნენ ხოლმე იმ ერთადერთ სიტყვას — „ამხანაგო“, რომელიც ყელში დღესაც გაულეჭავ ლუკმასავით გაგეჩხირება ხოლმე...

ლამის ადამიანში საბოლოოდ მოკვდა ადამიანი. ალბათ, ასე რომ გაგრძელებულიყო, მოხდებოდა დასაჯერებელი საოცრება და შუბლზე რკინის სალტეშემორტყმული ბავშვები დაგვებადებოდნენ...

ციდან დაჰყურებდნენ რეპრესირებულთა სულები შიშით განაბულ „თავისუფალ ხალხთა მძლე კავშირს“, ჩექმის ყელში იყურებოდა და იჭედებოდა თამამი აზრის უბრალო გაფაჩუნებაც კი, ყორღლობებსა და ზეიმებზე შემოკრულ ტაშში ისრისებოდა მოაზროვნე ადამიანების სახელები.

და ამას ვითმენდით. ვაბარტყუნებდით შიშით გადიდებულ ყურებს, პირს ვიფუფქავდით ცხელ-ცხელი ლოზუნგებით და ასე, წრეში სირბილით, „ვუახლოვდებოდით“ კომუნიზმის ბუტაფორიას...

უნდა დაგეჯერებინა, რომ რკინა რბილია და ბამბა — მაგარი, ცეცხლი სველია და წყალი — მშრალი, წინააღმდეგ შემთხვევაში რა სინდისით უნდა გეჭამა „საბჭოთა პური“, რა უფლებით უნდა გევლო უსამართლოდ დასჯილთა ძვლებამოჩრილ მიწაზე და ის პასპორტი გეტარებინა, რომელიც მსოფლიოს ციხეში შესასვლელ საბუთად მიაჩნდა?

იყო, ეს ყველაფერი იყო... სამწუხარო ფაქტიც ფაქტია... ასე გაგრძელდა, სანამ შეურაცხყოფილი დრო არ გაჩერდა, სანამ მიწამ არ ამოგვწყევლა და ეკონომიკის ინფარქტმა სასიკვდილო კრუნჩხვად არ დაუარა იმპერიის სხეულს... ფოლიანტზე დახრილი ბებერი ისტორია მოთმინებით ელოდა, რით გათავდებოდა დოგმებისა და სინამდვილის ბრძოლა. ჩვენ ხომ 80-იან წლებში კომუნიზმში უნდა გვეცხოვრა... ილუზია გამოდგა ხიშტის წვერზე ნაშენები საერთო სახალხო კეთილდღეობა, ჩვენი საგარეო პოლიტიკაც ყუმბარასავით შიშინებდა და ავღანეთში დამარცხებული „ინტერნაციონალიზმი“ ყავარჯნებით დაბრუნდა შინ.

გაზეთებში კი ბლინებივით ცხვებოდა ახალ-ახალი რეზოლუციები, ექსპერიმენტები, დადგენილებები...

ვხედავდით კრემლის კარისკაცთა მლიქვნელური ღიმილით გაპრიალებულ ლოყებს და მხოლოდ შიში გვაფარებდა პირზე ხელს, რომ სასოწარკვეთისა და მრისხანების კივილს არ დაერღვია ის ცოფი, ცხოველური დუმილი...

ვდუმდით, რადგან გვახსოვდა ოცდაჩვიდმეტი, გვახსოვდა ორმოცდათექვსმეტი, გვახსოვდა, რომ სადღაც, ჯოჯოხეთის იქით, არის კოლიმა, ვორკუტა, სადაც ცოცხალს გიფქვავდნენ ძვლებს, გაძრობდნენ ძარღვებს და ფურთხით გიგრილებდნენ იდეებით გახურებულ შუბლს.

ასე აღმოვჩნდით კატასტროფის წინაშე...

დგება დრო, როცა „ფოჩიანი კამფეტებით“ მოტყუებულ ბავშვსაც კი სიმართლე უნდა უთხრა — რომ იგი მართლა წეროს კი არ მოიტანა, კალათაში ჩაძინებული, არამედ ბუნების დიდი მისტერიით არის შექმნილი...

გარდაქმნა-„პერესტროიკა“, უპირველეს ყოვლისა, ცუდად დალაგებულის გადალაგება, ძვლებდამსხვრეულ ეკონომიკაზე არტახების დადებაა, ხოლო დემოკრატია მისი მხევალი და პირისფარეში, მისი მარიონეტია. თავიდანვე უნდა გაგვეგო, რომ, რაწამს სიტყვის თავისუფლება საქმის თავისუფლებად იქცეოდა, ეს კეთილი ქალბატონი მაშინვე მრისხანე ზევსად გარდაიქმნებოდა და დემოკრატიის სათბურში ცივ ქარიშხალს დაატრიალებდა, სიტყვას და ნამქერს მოჰყრიდა,.

ასეც მოხდა...

ამისი გაუთვალისწინებლობა, ალბათ, ის არის, რომ წამწამს იქით ვერაფერს ხედავ და ვერც ჩვენი „სამოცდაათწლიანი ოდისეა“ წაგიკითხავს გონების თვალით.

რა იოლად ვიწამეთ, რომ მზეს ხელით შევწვდებოდით და სიონის ზარების რეკვა კრემლს პირჯვარს გადააწერინებდა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი...: ცხოვრება კი მკაცრია, ცივი შუბლი და ლითონის სპირალივით მტკიცე განსჯა უყვარს — იგი დაცინვით შეჰყურებს ხოლმე ემოციების ფეიერვერკს.

და მაინც, ქართველმა ხალხმა ღირსეულად იარა სამოცდაათწლიან გოლგოთაზე. თავისი დიდი შვილების სისხლით წერდა იგი XX საუკუნის „ქართლის ცხოვრებას.“ დიახაც, დროის ბევრ საამაყო გადასახედზე ავაგეთ წმინდა ტაძარი — ტაძარი ღირსებისა — 1956 წელს, ტაძარი ენისა — 1978 წელს. სწორი უთქვამს ბრძენს, რომ იმპერიას კუს ტვინი და თხუნელას თვალები აქვსო. ასე რომ არ იყოს, როგორ დაიჯეროს გონებიერმა, რომ მაშინ, როცა ოფიციალურად ხალხთა მეგობრობის ფანფარებს ვცემდით, ენის წაგლეჯა მოგვინდომეს, რათა სამუდამოდ ჩაეჩუმებინათ გალობა ჩვენი სულისა...

ღმერთო, საკვირველ არიან საქმენი მათნი... რას არა, მაგრამ გაკვირვებას კი მართლა მივეჩვიეთ — გვიკვირდა, რომ ჯერ კიდევ ეწყო მყრალი ძეხვი ვიტრინაში, გვიკვირდა თეთრი სასწაულივით აქა-იქ გამოჩენილი ყველი, გვიკვირდა, როგორ ამოდიოდა მზე ამ ცოდვით დამძიმებულ ქვეყანაში...

მაინც სიკვდილის გზაზე მიმავალი ცეზარივით ამაყი იყო იმპერია, როცა მიძინებულ საქართველოში შეირხა სამშულე რქა და მომავალმა ფესვი გაიდგა..... თბილისის კედლებზე გაკრული პროკლამაციები ნამძინარევზე თვალების მოფშვნეტას ჰგავდა, და, აჰა, საქართველომ თავისუფლების სამსხვერპლოზე კიდევ გაიმეტა ორი ტარიგი — ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა — ორივეს წმინდა გიორგის შუბი ჩაუბლუჯა განგებამ აწივლებული გველეშაპის განსაგმირად.

მაგრამ გველეშაპი რის გველეშაპია, მსახურებად ნიანგები, ასპიტები, ხვლიკები და ჯოჯოები რომ არ ჰყავდეს „ ოქროს საწმისისა“ და „საქართველოს მოამბის“ გამომცემლების ერთმანეთზე გადაბმული სახელები ფუნქციონერებმა სახედარს გადაჰკიდეს და ისე ატარეს საქართველოში. უგნურების და სიმყრალის ლექსიკონში სიტყვა არ დარჩენილა, მათთვის რომ არ დაეხალათ ლაყე კვერცხივით.

ბორგავდა დიდგორი,

ბორგავდა კრწანისი...

ამასობაში კი არყით ულვაშებშეტრუსული გენერალი ჭოგრიტით უმზერდა, როგორ ცვიოდა ძირს გარეჯას ტაძრებიდან კედელს აკრული, აცახცახებული ფრესკები ტანკების ქვემეხების გრიალში — მიდი, ვასია, დასცხე, ეს ხომ ვასილი ნეტარის ტაძარი არ არის...

ამასობაში კი წყალი ყლაპავდა ქართულ მიწას, ზვავები ლაშქრავდნენ სვანეთს და ენგურჰესი, ეკოლოგიური მონობის ეს საოცრება, ამოთქნარებდა ნისლსა და ნოტიოს...

ამასობაში კი ფულით ჯიბის გათბობაზე მეოცნებე გამყიდველი ქართველები ამტკიცებდნენ, რომ ტრანსკავკასიის რკინიგზა საქართველოს ვარდისფერ დილას გაუთენებდა — ახლა მაინც ბრძანეთ, ბატონებო, ამ ცოდვათა შენდობისა და მიტევების პერიოდში, მაშინ რა ხვლიკი ჩაგიძვრათ ყელში...

ვერაფერმა გატეხა ორი ქართული კლდეკარი — ვერც ქვის ცივმა ტომრებმა, ვერც ფარისეველთა ანათემამ... მახსენდება არც თუ ისე შორეული ამბავი — რომელიღაც ფუნქციონერი თავდადებით ამტკიცებდა, რომ სარკინიგზო გვირაბი კავკასიას კი არ განგმირავდა, ამაყ მთებს ნაადრევად კი არ დააბერებდა, არამედ ეს იქნებოდა ზვიადი მწვერვალების ახალი „გასაბჭოება“. მერე რა, თუ ამ დიდი საქმისთვის რამდენიმე სოფელი ამოიძირკვებოდა საქართველოს ისტორიიდან; მე შენ გეტყვი, გელათის მიწაში ჩაძინებული დავითი გაიგებდა...

მახსოვს-მეთქი, როგორ გაბზარა ტელევიზორის ეკრანი მერაბ კოსტავას გრგვინვამ — „არც ერთი ქართული სოფელი არ უნდა აიყაროს“. როგორ ჰგავდა მაშინ მისი მზერა კრწანისზე ამოწვდილ მახვილს...

კურთხეულ იყოს აწ და მარადის სახელი მისი...

ნურვინ ჩათვლის ამ სიტყვებს აპოლოგიად. მე იმას ვიმეორებ, რაც საქართველოს ისტორიამ უკვე ბრძანა. რადგან გახსენებაზე მიდგა საქმე, ბარემ სხვაც გავიხსენოთ; გავიხსენოთ, როგორ ჩაუტკბათ სახე ფუნქციონერებს და მათ თითებზე გამობმულ მარიონეტებს, როცა ზვიადმა „მოინანია“ დანაშაული, ხოლო შემდეგ კასპიისპირეთში უკრეს თავი.

„მუხა წაიქცა“, ყლრიალებდა ფარისეველთა ხმა საქართველოში.

„წაქცეული მუხა“ თბილისში გაჩენისთანავე წელში გაიშალა და მისი ტოტებიდან ქარიშხალმა იქუხა...

ახლა კი მიხვდნენ, რომ ზოგი „დამარცხება“ გამარჯვებაზე დიდი ყოფილა...

„ რა უნდა, რა აკლია?“... ჰინჰარს სცემდა მის სახელს უგნურება — ინტელიგენტის გენეტიკური შუბლი, განათლება, თუ მატერიალური კეთილდღეობა? იყოს, ბატონო, წყნარად და შეირგოს წუთისოფელი...

მართლაც, არაფერი აკლდა ზვიადს სამშობლოს თავისუფლების გარდა და, მაშასადამე, წუთისოფელი მისთვის მხარ-თეძოს მოსასვენებელი რბილი ტახტი ვერ იქნებოდა.

ასე იარა დრომ...

დღეს ცოდვათა გამოსყიდვის დროა, ცოდვები კი ძაღლყურძენასავით ასხმია ჩვენს ახლო წარსულს. ხშირად ბრმა მიმინოსავით ეხეთქებოდა ხოლმე ჩვენი სული ფუნქციონერთა მიერ ამართულ კედლებს, ამბიციების პირამიდებს, კონიუნქტურის ბნელ სივრცეებს....

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან XX საუკუნის ქართული კულტურის გოლიათი მერჩულე — ჩვენი წარსულის სახლთუხუცესი პავლე ინგოროყვა, რომ აკადემიკოსად ვერ ავირჩიეთ.

მოვინანიოთ!

ისე უწვრილდება წუთისოფელი დღევანდელი ქართული მეცნიერების, თუ ეროვნული ინტელიგენტური გენის დიდ წარმომადგენელს — აკაკი გაწერელიას, რომ „არა განუღო კარი ტაძართან“.

მოვინანიოთ!

ისე ჩაწვა ვანო იმნაიშვილი — ძველი ქართული ენის მესაიდუმლე მუხათგვერდის მიწაში, რომ თავისი ღრმა-მეცნიერული გამოკვლევებით, განძად ქცეული ტომეულებით წევრ-კორესპონდენტობაც არ ეღირსა..

მოვინანიოთ!

ერო, თარგამოსიანო, ვინ გასწავლა ღირსეულ შვილთა დაუფასებლობა, თუ არა ჩვენმა ამყრალებულმა ახლო წარსულმა? წმინდაა მონანიება ისე, ვითარცა სიონის კართან დაჩოქება, ვითარცა საკურთხეველზე დანთებული სანთელი... განახლების ქარმა გაზაფხულის სუნთქვა მოიტანა — ეროვნული მოძრაობის ზვირთებმა გადაუარეს სრულიად საქართველოს — ზეთისხილის მწვანე რტო ეპყრა ხელში „გარდაქმნას“. ჰაერი გატკბა. გვჯეროდა — დემოკრატია — ეს კეთილშობილი ბერძენი მოგვიტანს თავისუფლებას. ერის აზლევებული სული გადაეფინება სრულიად საქართველოს და ასრულდება — დაგვიბრუნდება ის, რაც 1921 წელს ხიშტზე დაიხვია მანქურთმა — დამოუკიდებლობა. ასე დავწყვიტეთ ლოზუნგების არტახები, ასე სჯეროდა გამოღვიძებულ ქართველს... და არა მარტო ქართველს...

ალბათ დიდმა სიხარულმა დაგვავიწყა, რომ, როცა იმპერია ინგრევა, მაშინაც იმპერიად რჩება. არ არის მხოლოდ ის, რაც აღარ არის. ალბათ, ამისი გაუთვალისწინებლობა იყო პირველი შეცდომა, რომელიც ძვირად უნდა დაგვჯდომოდა და ადრე თუ გვიან, ციდან ნაცვენი ქვა-ლოდის ქვეშ დაგვაყენებდა.

სამწუხაროდ, ასეც მოხდა...

გარდაქმნამ თავისუფლების მირაჟი ნამდვილ თავისუფლებად მოგვაჩვენა. განა და რა უნდა მის მოპოვებას? — დაასაბუთე, რომ დაგიმონეს, რომ მართალი ხარ, რომ საერთაშორისო სამართალი შენსკენ არის, იბრძოლე და ინებე, რაც გეკუთვნის — იხარე ერო, მოკვდი მტერო...

ისტორია კი სხვაგვარად სჯიდა. მტერი როდის აკლდა საქართველოს, რომ დღეს არა ჰყავდეს? ამიტომ ჩვენი ეროვნული გამოღვიძება მათთვის ლაზარეს აღდგინება კი არ არის, არამედ ემოციების ფეიერვერკი და სადავეებდაწყვეტილი ანარქიაა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეროვნულ მოძრაობას, მართლაც, აჩრდილივით დაჰყვება ზოგი რამ, რაც ავისმოსურნეს იმის [illegible]ბაბს აძლევს, კალამზე ჩვენი საგინებელი სიტყვა შეუხტეს და ერის სალოცავთან ასპიტივით ისისინოს....

ჩვენ კი, ვაი, რომ, მართლაც, საკუთარი წამწამებით ვითხრით თვალებს. ამის აღიარება დღეს აუცილებელია.

რაღა დავმალოთ, ან რა არის დასამალი, როცა საზოგადოებას გაურკვევლობის თავბრუ ესხმის, ანარქია ვულკანივით დუღს და საკუთარი პიროვნების დაუცველობის, სუსუსურობის შეგრძნება ნეკივით გაპატარავებს? ღლე ისე როგორ გავა, ქართველის სახლში ურჩხულმა არ შეიხედოს? რამ მოაწყურათ ასე ჩვენს შვილებს სისხლი? რით ვეღარ გავძეხით ერთმანეთის სიძულვილით? რატომ ვანგრევთ კანიბალის გააფთრებით [illegible] ნაგებ იმ ტაძარს, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე [illegible] გაგზარდათ ამის მქმნელები, რამ აგიმლერიათ ასე გული? გონს მოდით, მოუყურადეთ, როგორ ხარხარებს მტერი, ვინ იცის, როგორ უცეკვავს ჩექმები როდიონოვს, ეგეც თქვენა და ქართველები — მე ჯალათი მაინც ვარ და გენერლის ლამპასები სისხლით მაქვს გავლებული. თქვენ აკი ისტორიის სათავიდან მოდიხართ, მაშ, ახლა ცოფი რამ შეგყარათ? თუ მე აფთარი ვიყავი და თქვენ უწყინარი, კრავებიო. — დარწმუნებული ვარ, სულ მალე გავიგონებთ მის ხმას „ლიტერატურნაია როსიას“ თუ „კრასნაია ზვეზდას“ ქართველთა სიძულვილით დანაღმული ფურცლებიდან...

ნუთუ არ გვესმის ეს?

კარგად ვიცი, ეროვნული მოძრაობა ყვავილი არ არის, რომ სათბურში გამოვიყვანოთ. ის მუხაა და ქარიშხალში უნდა იზრდებოდეს, მაგრამ, თუ ანარქიის ცივმა ქარბორბალამ დაჰბერა, თუ მორალი გილიოტინის ქვეშ დავაყენეთ, თუ საქართველოში ლამის ყოველდღე რამდენიმე სიცოცხლე ჩავაქრეთ სიონში დანთებული კელაპტრებივით, მაშინ, თვითგვემოციდის საზარელი ვირუსი შეგვყრია და რიღას იმედით ვიძინებთ და ვიღვიძებთ?..

დიახ, ტრავმირებულია დღეს ქართველი ხალხი და ამ ქვათადაკრეფაში უდაბნოში მლოცველი ბერის ხმასავით გაისმის მონანიების, მიმტევებლობის მოწოდება, სიკვდილით დასჯის აკრძალვის მოთხოვნა.

დიახ, სიცოცხლის წართმევა დიდი ცოდვაა, ისიც ვთქვი, რომ რიცხობრივად მცირე ერისთვის ყოველი ქართველი ბირთვისის ციხეა, ცასთან ატანილი ტაძარია და მისი სიცოცხლის ხელყოფა მხოლოდ მკვლელობა არ არის, ერის ღალატია. ასეთი, ალბათ, „მრავალჟამიერსაც“ ყელში სწვდება, რომ მოახრჩოს და სადღაც მიაგდოს..

არც ისე ცოტა ჰყავს დღეს საქართველოს ასეთი შვილი, აღა-მაჰმად-ხანის პირის ნაბანს რომ სვამს და ქართული სისხლითა და ხორცით მახრჩობელასავით იბერება.

ზოგჯერ მკვლელობას ისეთი სისასტიკე, ისეთი ფირგაქვავებული სადიზმი ახლავს, რომ მის ჩამდენთან შედარებით ოსმალეთის სულთნის ჯალათი სალოცავის კართან მიბმული ბატკანი აღმოჩნდება... ასეთთა საქციელი მხოლოდ დანაშაული არ არის, მზის დაცინვაა, ადამიანურობის ცნების იგნორირებაა. სამწუხაროდ, ასეთთა სიმყრალით, მათი შუბლის ნაფცქვენით სავსეა დღეს საქართველო. კლავენ ყველაფრისთვის — ერთი კოლოფი ასანთისთვის, სიგარეტისთვის და საერთოდ — გართობისთვის. სხვისი ტკივილით დატკბობისთვის. ფეხქვეშ იზილება ყმაწვილობის ჭაობი, პირზე დედის ხსენშეუმშრალი ბიჭები, საქართველოსთვის ჯერ ბუმბულის საოირალი რომ არაფერი გაუკეთებიათ, ეშვებალესილი ტანებივით დადიან თბილისის ქუჩებში და ხელი ან იარაღის სასხლეტზე უდევთ, ან დანის ტარი აქვთ ჩაბღუჯული. სტკივა ქართულ მიწას მათი ყოველი ნაბიჯი — დილით შიშით ვიღვიძებთ. თითქოს უბედურება გვაკლდეს. თითქოს ივლისის პაპანებას არ შეეხვრიპოს აფხაზეთში დაღვრილი ქართული სისხლი, თითქოს სამაჩაბლოში „დიამონ ნიხასი“ კუთხე შემდგარი ასპიტივით არ სისინებდეს და ქსანს ორივე ნაპირი არ სტკიოდეს...

დიახ, დღევანდელი საქართველო შემზარავ დანაშაულთა ასპარეზი გახდა, კანონი სასაცილო ბერიკად იქცა, ხელში რომ რბილი წკეპლა უჭირავს და არა ბოროტების დამთრგუნველი ორლესული, თვის ხელფასიც სხვა არაფერია, თუ არა ხელგაწვდილი ბრმა მათხოვარი, მგლის ბუნაგებივით დაითხარა თბილისის მიწისქვეშეთი კომერციულ და საკომისიო მაღაზიებად, სიხარბის ღია ხახაში ინთქმება ყველაფერი — სინდისი, თავმოყვარეობა, პატიოსნება. რა ქნას ამ კომერციულ განუკითხაობაში ხელფასის კაცმა? საკუთარი ხელების ნაბანი ხვრიპოს თუ ხვალის იმედი დაიპიროს ქადა-ნაზუქად; ნუთუ ტაძრისკენ ზოგი დოლარების ფრიალით უნდა მიდიოდეს, ზოგი კი — შიმშილის ლასლასითა და კონკების ყლორტუნით?

(დასასრული მე-8 გვ.)

# ფიქრები ხმამაღლა

(დასასრული)

გაწყდა და დაირღვა ლოგიკის ჯაჭვი, დღეს ადრინდელი ტოტალიტარული რეჟიმი ანათემას მივეცით... სისხლისა და რისხვის ნიაღვარს გავატანეთ ყველაფერი, რაც ისტორიას ძეძვად და ჯინჭრად ეხვია, ვაშენებთ ახალ საქართველოს ახალი ეკონომიკით, მორალით, ცხოვრების წესით, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ვის უპყრია დღეს ამერ-იმერში კომერციული მარათონის სადავეები? ვის და სწორედ იმათ, ვინც იმ საწყევარ დროში კაპიტალი დააგროვა, ვინც საწველად ეჭიდა სოციალიზმის გაჩაჩხულ წითელ თხას... აი, რატომ გახდა დღეს პატიოსანი შრომა სასაცილო და გულუბრყვილო აიზოლიტი... ფულის შოვნის ვირუსი მუნივით მოედო საზოგადოების ყველა ფენას და, რა გასაკვირია, რომ ასეთ სათბურში დანაშაულმა არნახულად იბარტყა? როგორ შევახამოთ და შევაგუოთ ეს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასთან, თავისუფლების სულის ჯერ უხილავ აღზევებასთან? ან, თუ გნებავთ, იმ ქრისტიანულ მცნებებთან, რჯულის ფიცარზე ასომთავრულით რომ გვიწერია?

საქართველოში აღზევებულ ეროვნულ მოძრაობას სახელს უტეხს ანარქია, დანაშაულთა არნახული სტატისტიკა. მონანიების ენით საუბარი ერის სულზე დახვეულ ფითრთან არაფერს მოგვცემს. რა უნდა იყოს ქრისტიანი ქართველისთვის იმაზე ამაზრზენი, რომ მისი გვარი და სახელი, ჯილაგი და თოხუმი ანათემას და წყევლას მიეცეს თვით უწმინდესისა და უნეტარესის მიერ, ერის რჯულის წიგნმა მომავალ თაობებს შეუნახოს მისი ავკაცობის ამბავი? მაგრამ ვერც ამ უკიდურესმა ზომამ ჩაამწყვდია ბოთლში სისხლით მთვრალი ჯინი... დიახ, პირჯვარის გადაწერა და სანთლის დანთება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სული შენიც სანთლად იწვის იმ ტაძარში, რომელსაც ერის სიყვარული, პატიოსნება, ჰუმანურობა და სისპეტაკე ჰქვია.

არც დღევანდელ, არც მომავალ საქართველოს არ სჭირდება ამბიციებით გომბეშოსავით გაბერილი მედროვეები, ტანზე ფერგაუჩერებელი ქამელეონები, ასპიტის ნაყარივით ძსისინებული მკვლელები, ერმა უნდა მონახოს ძალა, რომ კანონის სალტე წაუჭიროს ყელში გალაღებულ ბანდიტიზმს, თავაშვებულ ავკაცობას... ქრისტიანული მიმტევებლობით, მონანიებით — ამ თეთრი ხელთათმანით დღეს ვერ გაკეთდება ეს გადაუდებელი საქმე, დიახ, ისევ სიცოცხლის სახელით უფლება არა გვაქვს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ იმას, ვინც შხამს ასმევს საქართველოს, ჰაიჰარად იმეტებს მოძმეს და ნოყვასს, უფლება არა გვაქვს, რომ ასეთმა ნაძირალამ გველის თვალებით უყუროს ქართულ მზეს თუნდაც სამუდამო პატიმრობის საკნიდან... თუ სიცოცხლის წართმევა მკვლელისა და მაინც ადამიანისთვის ცოდვაა, მიმტევებლობა ცოდვათაცოდვად ჩაგვეთვლება...

„არა განიმართების კუდი ძაღლისა, არც კირჩხიბი სწორად ვალს..."

უნდა აღსრულდეს ერის ნება, ერი კი წესრიგს მოითხოვს, უნდა აღდგეს ფეხქვეშ გათელილი და დასაჭურისებული კანონიერება...

ვფიქრობ, ამ გადაუდებელ საქმეში ჩვენს პარლამენტს გვერდში უხდა ამოუდგნენ ეროვნულ პარტიათა წევრები და მათი ხელმძღვანელები — საქართველოს სახელოვანი შვილები...

დღეს ისევ ზამთარია საქართველოში, მზე მარხულობს, მაგრამ მოვა ჟამი და მაშინ ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად თავისუფალ, ზნესრულ და ამაღლებულ რესპუბლიკაში ერთად ვიფიქრებთ ჰუმანიზმის პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებაზე...

## ჩვენი პუბლიკაცია

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია წიგნი, ყავისფერი, ტყიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდით. ნაბეჭდი გეგონება ცისფერ, აწ გახუნებულ ქაღალდზე უცნობი, ნიჭიერი კალიგრაფის მიერ უზადოდ დახატული მხედრული და მთავრული ასოები.

წიგნს „წინამძღვარი" ჰქვია და თქმულია იოანე დამასკელის მიერ.

იგი როგორც ერთ მინაწერში გვაუწყებს მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი, თავისი ქმრის, ხვიმონ შალიკოვის მოსახსენებლად კნეინა დუსია შალიკოვისას უბოძებია მისთვის ჩყპგ-ს წელს, დეკემბრის კჱ დღეს, ესე იგი, 1883 წლის 28 დეკემბერს. ხოლო მეორე მინაწერი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, შეიძლება ითქვას, მცირე ნოველაა:

„ეს წიგნი ნაქონია საქართველოს ეკლესიის მნათობის, იერომონახის იოსტოსის, ანდრონიკაშვილისა; იგი, სხვათა შორის, მეგობარი ყოფილა თადია ჩოლოყაშვილისა, ყარაბულახში*, ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ იოსტოსს ულოცნია და უბრძანებია თავის თექვსმეტი წლის მოსამსახურე ბიჭის გიორგი მახარობლიძისათვის — „ამაღამ მე უთუოდ მოვკვდები და არ შეგეშინდესო. დილაზე ჯერ მოურავს შეატყობინე და მერე ფრთხილად თადიას გაუმჟღავნეო". დაწოლილა, დაუკრეფნია გულ-ხელი და სული განუტევებია; დაუსაფლავებიათ დავით გარეჯას მონასტერში — მიამბო კნეინა დუსიამ.

მღ. პ. კარბელაშვილი".

* ყარაბულახი — საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის ერთი უბანია.

იოსტოს ანდრონიკაშვილს 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში მიუღია მონაწილეობა, იმავე წელს დაუჭერიათ ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად და ორი წლის შემდეგ თავდებით გაუთავისუფლებიათ. თურმე პირმში უპირებდნენ გადასახლებას, მაგრამ პატიების, ... რუს მოხელეთა აზრით, იგი ის განაწყობდა მოსახლეობას, კვერქხებზე ... ხანდრე და ფარნაოზ ... შვილებს.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ვპოვეთ თვით იოსტოს ანდრონიკაშვილის მიერ თავისი მეგობრისთვის თადია ჩოლოყაშვილისთვის შეთხზულ ეპიტაფიას, რომელიც სტრიქონებად დავტეხე და ხალხური ფორმით წარმოგიდგინეთ. ვფიქრობ, იგი ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია და ჩვენს პოეზიაში, ალბათ, საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს.

იოსტოს ანდრონიკაშვილი

## თადია ჩოლოყაშვილსა

ჰოი, სიკუდილო,
ვითარ გამოვსთქუა უძლიერესი
ყოველთა ძალი შენი;
მე არა ოდეს მოშიში შენგან,
ვიყავ მინდობილ სიმხნესა და
მამაცობასა ჩემსა და არა
რად ვრაცხდი ძლიერებასა შენსა;
განვატარე ცხოვრება ჩემი
უშიშროებასა შინა შენსა
და ამით სახელოვან ვიქმენ
ქართველთა;
სპარსთა და თურქთა ბრძოლათა შინა,
განძლიერებულთა ომთა,
ცეცხლთა და მახვილთა
ვრაცხდი ქსელად დედა ზრდილისად;
მინდობილი ძლიერთა მკლავთა
და საჭურველთა და მხედრობისა
ჩემისა;
ბრძოლათა შინა წარვიქცევდი
ორერგასთა მბრძოლთა ვითარცა
მქისეთა,
სპარსნი და თურქნი მიხილვიდენსა,
მიმთხრობნი ურთიერთისადმი,
თადია მოურავო,
უკუნ იქცეოდნენ სირცხვილით.
ესრეთ განვვლენ მრავალნი წელნი
სხვა და სხვათა სამფლობელოთა შინა,
განურჩევლად დღისა და ღამისა,
მთათა და ტყეთა შინა დგომითა,
გარნა მაშინ ვერ მძლე მექმენ;
ხოლო ოდეს განვისვენე ამა
შრომათაგან
სახლსა და სამფლობელოსა ჩემსა,
განვრცობად ყმათა და მამულთა,
მაშინ მპარაობით მიმიტაცე და
ესე ვითარი გულოვანი დამეც მიწასა,
თვალ ტანადობით ახოვანი თავადი
თადია მოურავ გიორგის ძე
ჩოლაყოვ წლისა...
და განმაშორენ უსატრფიალესთა,
მეუღლესა და ძესა ჩემსა,
ოჰ, ძლიერება შენი სიკუდილო;
ძმანო ჩემნო, გვედრი ყოველთა
გეშინოდესთ ამისგან და ევედრენით
ღმერთსა
ცოდვათა ჩემთა მოტევებისათვის,
რამეთუ საშინელ არს შევრდომა
ხელთა შინა ღმრთისა ცხოველისა.

წიამზადა
მიხო მოსულიშვილმა




## საქველმოქმედო აქცია ჩუღურეთში

დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში განსაკუთრებით უმწეოდ გამოიყურებიან მარტოხელა მოხუცები, რომლებსაც ასაკის გამო აღარ ძალუძთ გაუთავებელი სიარული სხვადასხვა პროდუქტების საძებნელად.

სწორედ მათთვის მხარში ამოდგომა განიზრახა ჩუღურეთის რაიონის რეგიონულმა სახალხო ფრონტმა, როცა საქველმოქმედო აქცია მოაწყო და რაიონში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცებს უსასყიდლოდ სახლში მიუტანა სხვადასხვა პროდუქტი.

როგორც საქველმოქმედო კომისიის თავმჯდომარემ ც. დოთიაშვილმა აღნიშნა, ეს აქცია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ დახმარება გაეწიათ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. მოსკოვიდან ნიაღვარივით მოდის ცილისმწამებლური პასკვილები იმის შესახებ, რომ ქართველები ავიწროებენ არაქართველებს. „ვრემია" გადმოსცემს „ფაქტებს" ოსებზე, რომლებიც, თითქოსდა, მოკლებულნი არიან ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა თანაბრად ზრუნავს საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლებზე. ეს აქცია ამის კიდევ ერთი დასტურია: პროდუქტები მიიღეს არა მარტო ქართველებმა, არამედ რუსებმა, ოსებმა, სომხებმა...

ჩუღურეთის რეგიონული სახალხო ფრონტის გამგეობა მადლობას უხდის იმ საწარმოებს, რომლებიც მხარში ამოუდგნენ საქველმოქმედო აქციის ჩატარებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის „საქვაჭრობრეკლამას" (დირექტორი ვ. უსტიაშვილი) და ჩუღურეთის რაიონის საზკვების ტრესტზე (მმართველი მ. პაიჭაძე) ასევე, სახალხო ფრონტის ცალკეულ წევრებზე (ნ. წითლიძე, მ. ბერიანიძე, ლ. ტალახაძე, ზ. მელაძე), რომლებმაც საკუთარი დანაზოგიდან თანხები გაიღეს და ამით არა მარტო ადამიანური, არამედ მამულიშვილური ვალიც მოიხადეს.


ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, უაზბეგის ქ. №17. ტელ.: 29-26-81.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში"

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი